მაცნე სამტრედიის

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N34 (9285) 10 დეკემბერი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

2 სტიქია სამტრედიის მუნიციპალიტეტში

ზარალი ანაზღაურდება, ნაგავი გაიტანება, ქუჩები განათდება, ტყუილი ზღვარს რომ არ გადასცდეს

ქარისგან დაზიანებული დარბაზი დროულად გაფაიხურა 3

შეჩერდით, მოემზადეთ, გზა თქვენია! 5

დისციპლინა და პასუხისმგებლობა _ მისი წარმატებული საქმიანობის გასაღები

6

ოთხლიანი ინტელექტუალური ზეიმი სამტრედიაში

8

ქალები ძალადობას ებრძვიან!

DEMOCRACY HOUSE OF GEORGIA

STOP VIOLENCE AGAINST WOMEN

4

"გაიგე შენი აივ სტატუსი!"

გაუნათლებელი აღამიანი ქვეყანას უფრო ძვირი უჯღება 3

3 დეკემბერს საკრებულომ მორიგი სხდომა გამართა

ლევან გაბეჩავა

ვიდრე დღის წესრიგს გაგაცნობდეთ, მინდა, პრეზიდენტად არჩევა მივულოცო ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, ვიმედოვნებ, ყველაფერი გაკეთდება სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის. _ ასე დაიწყო 3 დეკემბერს გამართული მორიგი სხდომა საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ და შეკრებილთ სხდომის დღის წესრიგში არსებული საკითხები გააცნო.

განსახილველ საკითხთა ირგვლივ საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის, უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვაჟა სტურუამ მოახსენეს.

საკრებულომ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე 2018 წლის 17 ნოემბრის შესაბამისი ხელშეკრულება.

საკითხის ირგვლივ საკუთარი მოსაზრება გვსურს დავაფიქსიროთ. საინტერესოა, როგორ ხდება (ხდება კი?) არათუ სამტრედიაში, ქვეყანაში მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირება?

მოვლენათა დრამატიზებას არჩვეულს არც ამჯერად მსურს გვარსახელის კონკრეტიზაცია, თუმცა, გაგვაცა სხდომის დარბაზშივე გაჟღერებულმა ფრაზამ, სოფელში ტურების რაოდენობამ იკლოო, არადა, სოფელში კი არა, ტურები ქალაქის რიგ უბნებშიც მომრავლდნენ.

თუ ვინმეს დაეჭვებს ჩვენი განცხადება ქალაქში ტურების არსებობის შესახებ, მზად ვარ, ჩვეულებრივი ქართული სტუმართმოყვარეობით ოჯახში ვუმასპინძლო დაინტერესებულთ, რათა შებინდებისთანავე თავად მოისმინონ ტურების "გადაძახილი". სად? აქვე, ადმინისტრაციული სახლიდან სულ რაღაც 2, 2,5 კილომეტრში.

ქვეყანაში ტურებისა და მგლებისადმი ლოიალურმა დამოკიდებულებამ არ გვგონია, შედეგი სასურველი გამოიღოს.

რამდენიმე ხნის წინ "სამტრედიის მაცნესათვის" ცნობილი გახდა, რომ სოფელ ნიგორზღვაში ერთ თვეში მტაცებელმა ერთ ოჯახს სამი პირუტყვი დაუგლიჯა.

საკმაოდ პოპულარული იყო გასული საუკუნის დასაწყისისათვის სიმღერა ძველმა კინოფილმებმა რომ შემოგვინახა:

სადაც ჰკიოდა მგელი და ტურა,
იქ გავაშენეთ ჩაის კულტურა...

თუ მტაცებლებს ქვეყნის მასშტაბით ქმედითი ბრძოლა არ გამოვუცხადეთ, სიმწრით გვექნება (თუ უკვე არ გვაქვს) სამღერი: სადაც ჰყვაოდა ჩაის კულტურა, ახლა გაჰკივის მგელი და ტურა...

საკრებულოს სრული შემადგენლობისადმი ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, მინდა ვიკითხო, ჩვენ, რიგითმა ადამიანებმა როგორ ვებრძოლოთ ტურასა და მგელს, ან როგორ გავიგოთ, გავცდით თუ არა რეგულირების ზღვარს?

შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო საკრებულომ წარმოდგენილ და განხილულ საკითხთა ირგვლივ.

ზარალი ანაზღაურდება, ნაგავი გაიტანება, ქუჩები განათდება, ტყუილი ზღვარს რომ არ გადასცდეს

თეა ბაბუნაშვილი

ორშაბათის ტრადიციული თათბირი მუნიციპალიტეტის მერიის მეოთხე სართულზე, ძირითადად, რამდენიმე დღის წინ ძლიერი ქარით დაზარალებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საკითხს მიეძღვნა. სტიქიამ არცთუ ცოტა შენობა-ნაგებობა _ საბავშვო ბაღები, სოფლების ადმინისტრაციული სახლები, მრავალსართულიანი ბინები, სკოლები და კერძო საცხოვრებელი სახლები დაზიანა ქალაქში თუ მიმდებარე სოფლების ტერიტორიაზე. დაუყოვნებლად გასაწევი სამუშაოების საერთო რაოდენობამ 245 ათასი ლარი შეადგინა. სამუშაოები დაწყებულია, საჭირო მასალების 95% უკვე გაცემული. თანხა საქართველოს მთავრობის მიერ იქნა გამოყოფილი. რაც შეეხება საჯარო სკოლებს, საჭირო სამუშაოებს განათლების სამინისტრო უწევს კურირებას. თათბირზე მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ ხაზი გაუსვა, რომ: "უნდა გავაკონტროლოთ, მოსახლეობამ გადასახურად მიცემული მასალა არ გაყიდოს და სინამდვილეში იმ დანიშნულებით გამოიყენოს, რისთვისაცაა გაცემული. თუ საჭიროდ ჩათვლით, მათი დახელწერილებაც კი უნდა მოხდეს." სტიქიამ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის სახურავიც დაზიანა. შესაკეთებელი სამუშაოები მალე დაიწყება. ვალერიანე ფოცხვერიამ კიდევ ერთხელ გააფრთხილა მშენებელი ორგანიზაციები: "ბოლო დროს იყო რამდენიმე შემთხვევა როცა ახლად გადახურული სახურავი ქარმა მალევე დაზიანა, ფაქტობრივად, გადახადა შენობას და ქვემოთ გადმოაგდო. ისევ ქარს დაბრალდა ეს და არა უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს. ეცადეთ კი არა, ვალდებულები ხართ, ასეთი რამ არ განმეორდეს!"

მუნიციპალიტეტის მერმა გზების მიმდინარე და უკვე დასრულებული სამუშაოებიც "მოიკითხა". ამ მიმართულებით არანაირი პრობლემა არ არის, ყველაფერი გაწერილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობსო, _ მიიღო პასუხად.

გაღმა ზონის სოფლების წყალმომარაგების საკითხის მოგვარება, კვლავ აქილევსის ქუსლად რჩება მუნიციპალიტეტისთვის. თუმცა, გარკვეული სამუშაოები მიმდინარეობს ამ პრობლემის რამდენადმე მოსაწესრიგებლად.

დიდი ჯიხაიშის თემის წარმომადგენელმა მოსახლეობისთვის მიცემული დაპირების _ დაგროვილი ნაგვის გატანის თაობაზე დახმარება შეახსენა შესაბამის სამსახურებს. "მოსახლეობასთან ტყუილი რომ არ გამოგვივიდეს, იქნებ გამოვნახოთ საშუალება ..." _ აღნიშნა ალექსანდრე ლეჟავამ მას შემდეგ, რაც კომუნალური გაერთიანების სამსახურის უფროსის განცხადება მოისმინა: "წლის ბოლოა, საწვავზე ტენდერის გამოცხადებას გარკვეული დრო დასჭირდება და 1-10 იანვრის დღეებისთვის უნდა შევინახოთ საწვავი, ამიტომ ეკონომიურად ვხარჯავთ. თუ არის შესაძლებლობა, ცოტა ხნით თავი შევიკავოთ." მუნიციპალიტეტის მერმა სიტყვა შეაწია დიდ ჯიხაიშს: "სადაც შეიძლება მოვითმინოთ, იქ მოვითმინოთ, სადაც არა და, უნდა დავეხმაროთ, თორემ ამდენი ტყუილი უკვე ზღვარს გადადის!" _ ბუნებრივია, მხოლოდ ნაგვის გატანის კონკრეტული შემთხვევა არ იგულისხმებოდა მის სიტყვებში. იმაშიც დაეთანხმა იგი დიდი ჯიხაიშის წარმომდგენელს, რომ უნდა დაიგოს ნათურები ღამის განათების იმ ბოძებზე, სადაც ისინი უკვე გადაიწვა _ მეტი ყურადღება ეკუთვნის ამ სოფელს, პრეზიდენტის მშობლიური სოფელია. _ ხუმრობანარევი კილოთი დასძინა მან. რაც შეეხება გარე განათებას, ვალერიანე ფოცხვერია სრული სერიოზულობით დაუბრუნდა საკითხს: "სამტრედია ყველაზე განათებული იმედაძის დროს იყო. მაშინ 2 ათასი ნათურა ანათებდა ქალაქში, ახლა 7 ათასი ანათებს, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის. ბიუჯეტს ელექტროენერგიის გადასახადი მძიმედ აწევება. გაითვალისწინოს ყველამ, რომ ეს ქუჩის განათებაა და არა საკუთარი ეზოსი. სწყინს მოსახლეობას, მის ჭიშკართან თუ არ აგია ბოძზე ნათურა. ჩვენ თითო ბოძის გამოტოვებით ვამონტაჟებთ განათებას. იმ დროში, ყველაზე განათებული რომ იყო სამტრედია, ჭიშკართან დამონტაჟებული ნათურის გადასახადს თვითონ მოსახლე იხდიდა."

თათბირის შემდეგ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საჭირო მასალის გადაცემაზე საუბარი ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, ზურაბ გოგიას კაბინეტში გაგრძელდა ყველა დეტალის დაწვრილებით განსახილველად.

სტიქია სამტრედიის მუნიციპალიტეტში

ნინო ნანიტაშვილი

ნოემბრის ბოლო დღეს სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენები დაფიქსირდა. ძლიერმა ქარმა ქალაქისა და სოფლების ტერიტორიებზე მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებსა და კერძო ობიექტებს სახურავები გადახადა, ხეები მოთხარა და ელექტროსადენები დაზიანა. ქარიშხალის შედეგად მელაურის საჯარო სკოლის შენობის ერთი მესამედი სახურავის გარეშე დარჩა.

მოულოდნელად გაჩენილმა ხანძარმა ბაშის თემში ხურციძეების ოჯახში მსხვილფეხა პირუტყვი ზამთრის საკვების გარეშე დატოვა. დაიწვა 500 კონიანი ჩალის ზვინი, რომელსაც, ადგილობრივების თქმით, ცეცხლი საბალახოებიდან მოტანილი ნაპერწკლის შედეგად გაუჩნდა. ხურციძეების ეზოს სოფლის საბალახო ესაზღვრება, რომელიც 30 ნოემბერს ერთი საათის განმავლობაში იწვოდა. იმავე დღეს ძლიერმა ქარმა სახურავი გადახადა ქალაქის ტერიტორიაზე თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ძიუდოს დარბაზს, სადაც საწვრთნელ ბაზაზე პროცესი დროებით შეწყდა.

დიდი იყო დაზიანება დაბა კულაშში. ქარიშხალმა წიწვოვანი ხეები ძირფესვიანად მოთხარა და ელექტროსადენები მწყობრიდან გამოიყვანა.

მოსახლეობას რამდენიმე საათი ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა.

მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, ზურაბ გოგიასთან, ერთად სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტები მოინახულა, შეხვდა მოსახლეობას და მათ დახმარებას დაჰპირდა.

70 წლის წინ...

ლევან გაბეჩავა

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც გაეროს მიერ მანამ და შემდეგ მიღებულ საერთაშორისო აქტებთან შედარებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მასში გაჟღერებული აზრების გამო.

ამონარიდს ვთავაზობთ, "სამტრედიის მაცნეს" მკითხველებს დეკლარაციიდან.

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე მიუხედავად რაიმე განსხვავებისა.

ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფალი არჩევანის უფლება.

ყოველ ადამიანს აქვს მრწამსის თავისუფლების და თავისუფლად გამოხატვის უფლება.

ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება. არავის შეუძლია, თვითნებურად ჩამოართვას მას მოქალაქეობა ან მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას... არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება.

არ შეიძლება თვითნებურად ჩარევა ნებისმიერი ადამიანის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას მიიღებდა, გაცილებით ადრე ჩვენი ერის სასიქადულო შვილმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ქართული მწერლობის უზადო მსახურმა ვ. ორბელიანმა წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც საოცარი სიცხადით ასახავენ იმ ელემენტარულ, ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ არ შეიძლება ადამიანის მიერ ადამიანის ფლობა, მისთვის ადამიანური უფლებების შეზღუდვა, წართმევა და ა. შ. აი, რას ბრძანებს დიდი ერისკაცი და მოაზროვნე:

"ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა,
თუმც იყოს არა მცნებისა;
დეე, მაღლა თქვას, წარმოთქვას, _
მასშია ყოფა ნებისა.
ღვთის ქმნილს გალია არ შვენის,
რად იყოს ტყვეობაშია?
ბევრით სჯობია სიკვდილი
სიცოცხლეს გალიაშია".

მართალია, ცივილიზებულმა მსოფლიომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე წესისამებრ, 10 დეკემბერს აღნიშნა, თუმცა, ამ უფლებებისადმი, ღირებულებებისადმი პატივისცემა არა კონკრეტულ დღესა და დროში, არამედ ყოველწუთიერადაა საჭირო, აუცილებელი.

გარემოებათა გამო ამჯერად არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რამდენადაა დაცული ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებები...

გაუნათლებელი ადამიანი ქვეყანას უფრო ძვირი უჯდება

თეა ბაბუნაშვილი

შეხვედრაზე, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის დარბაზში შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სკოლების ადმინისტრაციების, სოფლის ამბულატორიების, ადგილობრივი მერიის წარმომადგენლებთან გაიმართა, სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების სასწავლო პროცესში ჩართვაზე იყო საუბარი. იგი არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის" (CSDC) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით გაიმართა. საუბარი ბავშვთა განათლებისა და განვითარების უფლებების დაცვის შესახებ, მშობლის ან მეურვის მხრიდან ამ უფლების შეზღუდვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ადრეული განთესვისას მოზარდის და საზოგადოების წინაშე არსებულ რისკებს შეეხებოდა. "ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური გაუმჯობესება ადამიანური კაპიტალის განვითარებითაა შესაძლებელი, აქ კი წამყვანი როლი ხარისხიან და თანაბრად ხელმისაწვდომ განათლებას უკავია." _ ნათქვამია ბროშურაში, რომელიც პროექტის პრეზენტაციისთვის შეხვედრის მონაწილეებს დაურიგდათ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ არასრულფასოვანი განათლება არაერთი რისკის წინაშე აყენებს მოზარდს. სასწავლო პროცესში ჩართვა იმის მიუხედავად, რა სოციალური სტატუსის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობისაა იგი, აუცილებელია მისი მსოფლმხედველობის ამაღლებისთვის. გაუნათლებელი ახალგაზრდები, უფრო მეტ ტვირთად აწვებიან სახელმწიფოს, მათ მეტი ძალისხმევა სჭირდებათ სამსახურის საშოვნელად, რადგან ნაკლებად აქვთ განვითარებული პროფესიული უნარები. აქედან გამომდინარე, დიდია რისკი, სოციალურად დაუცველები იყვნენ. კვლევების მიხედვით, ამ კატეგორიის ადამიანები გაცილებით ძვირი უჯდება სახელმწიფოს, რადგან მათზე უნდა გაიცეს სოციალური დახმარებები, უნდა ისარგებლონ ჯანმრთელობის, სამართლებრივი, უმუშევრობის მომსახურების, სპეციალური საგანმანათლებლო სერვისებით. ეს იწვევს ეკონომიკური საქმიანობიდან მოგების გადასახადის დანაკარგებს.

მოზარდის განათლების მიღმა დარჩენას, ძირითადად, სოციალური, რიგ შემთხვევებში ჯანმრთელობის მდგომარეობის ფაქტორები განაპირობებს. ისინი უმეტესად ქუჩაში მცხოვრები ბავშვები არიან.

"სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის" სოციალური მუშაკი ნანა მოწონელიძე აცხადებს, რომ: "ამ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ვსაუბრობთ იმაზე, როგორ გავხადოთ მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის განათლების სხვადასხვა სფერო. შეხვედრები საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართება შესაბამის უწყებებთან. აჭარით დავიწყეთ, სამეგრელოს რამდენიმე რეგიონი უკვე მოვიცავით. ახლა მთელ იმერეთს მოვიცავით. გავიზიარებთ შეხედულებებს, რომლებსაც ამ შეხვედრებზე მოგვაწვდიან. საგანმანათლებლო, პოლიციისა და სამედიცინო უწყებების წარმომადგენლები ის ადამიანები გახლავან, ვინც უშუალო შეხებაში არიან მიუსაფარ ბავშვებთან. საინტერესო იქნება მათი მოსაზრებები და იმედია, ჩვენს რჩევებსაც გაითვალისწინებენ ამ კუთხით."

კვლევებმა აჩვენა, რომ ყველაზე მეტი რაოდენობით ქუჩის ბინადარი ბავშვები დიდ ქალაქებში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გვხვდებიან.

ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელი ია კაშია აღნიშნავს: "შესაბამისი რეაგირება დროულად უნდა მოხდეს იმ ბავშვებთან მიმართებაში, 10-12 წლის ასაკში ქუჩაში რომ ცხოვრობენ და არ აქვთ საგანმანათლებლო ისტორია. დიახ, ძირითადად სოციალური პრობლემებითაა განპირობებული ეს, მაგრამ მათთან მიმართებაში ყველა რგოლი კოორდინირებულად უნდა მოქმედებდეს. ამგვარ ბავშვებს ეკარგებათ თვითშეფასების უნარი და რწმენა, რაც საზოგადოებასთან მიმართებაში ზედმეტ აგრესიას იწვევს, კრიმინალადაც კი აყალიბებს მოზარდს. ამბულატორიის წარმომადგენლების ჩართვის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ჯანდაცვის პირველადი რგოლი მზად უნდა იყოს ოჯახში ან პაციენტთან სხვაგვარი ვიზიტის დროს, ამოიცნოს ხომ არ არის ბავშვი ძალადობის მსხვერპლი. რეფერირება უნდა მოახდინოს შესაბამის უწყებაში."

ბავშვის უფლებათა კონვენციაში 27-ე მუხლად წერია: "ყველა ბავშვს აქვს უფლება, იცხოვროს ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი განვითარებისთვის. მშობლები ვალდებულნი არიან, შეუქმნან შვილებს ცხოვრების ნორმალური დონე, სახელმწიფო კი ვალდებულია, დაეხმაროს მათ ამაში." კონვენციამ რომ არ ასწავლოს, ბუნებრივია, ეს მშობელმაც იცის და არასამთავრობებზე მეტად მას აქვს სურვილი, შვილს ასეთი გარემო შეუქმნას, მაგრამ... სამწუხაროდ, მიზეზთა გამო საჭიროა ამგვარი საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ტარდება კიდეც იგი საქართველოს მასშტაბით.

ქარისგან დაზიანებული დარბაზი დროულად გაღაჩიხურა

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენს მუნიციპალიტეტში ძიუდოისტთა საჭიდაო დარბაზი ერთ-ერთი იყო სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზარალებულ და შემდეგ აღდგენილ იმ ობიექტთა შორის, რომელიც იმერეთის გუბერნატორის მოადგილემ ბესიკ გოფოძემ, მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ზურაბ გოგიამ მოინახულეს. ადგილზე ისინი ძიუდოს მწვრთნელ-პედაგოგებს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ავთანდილ თარგამაძეს და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, ბესარიონ შვანგირაძეს გაესაუბრნენ." სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა ავთანდილ თარგამაძეს: "მოგეხსენებათ, ძლიერმა ქარმა დარბაზს სახურავის ნახევარი მხარე გადააძრო, მაშინვე საქმის კურსში ჩავაყენეთ ჩვენი სამსახური, კლუბ "ფალავანის" დირექტორი, ბატონი ირაკლი მელაშვილი, რომელმაც მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ვალერი ფოცხვერიას. სასწრაფოდ მიიღეს სათანადო ზომები, პრობლემა მინიმალური დროის მონაკვეთში აღმოიფხვრა და უკვე ვაგრძელებთ სამწვრთნელო პროცესს, მადლობა მინდა მოვახსენო იმათ, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. ამინდმაც ხელი შეგვიწყო, პრობლემა მალე მოგვარდა, ძალიან მასშტაბური სამუშაო იქნა გაწეული, არ გაჩერებულან, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე სამი დღე იმუშავეს, მადლობა მინდა გადავუხადო, დავით ჯანელიძეს, რომლის ორგანიზაციამაც შეასრულა ეს სამუშაოები. ჩვენს გვერდით იმყოფებოდა ირაკლი მელაშვილიც."

შენობა, სადაც ახალგაზრდები ჭიდაობა "ძიუდოში" ვარჯიშობენ, საკმაოდ დიდი ხნისაა. ამ დარბაზში მოსწავლეებს ავთანდილ თარგამაძე 2005 წლიდან ავარჯიშებს.

"გაიგე შენი აივ სტატუსი!"

ნინო ნანიტაშვილი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოწოდებით 1988 წლიდან 1-ლი დეკემბერი შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღედ აღინიშნება. გაეროს შიდსის პროგრამის მოწოდებით 2018 წლის შიდსის მსოფლიო დღის დევიზია: "გაიგე შენი აივ სტატუსი!"

სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად საქართველო 27-ე წელია ტრადიციულად უერთდება შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღის აღნიშვნას. კვირეულის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა გამართა სამტრედიაში ფსიქოსოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრმა "ახალი გზა". შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქსელის დირექტორი დალი უშარიძე, სამტრედიის ფილიალის კოორდინატორი ნანა კოხრეიძე, რაიონის სამედიცინო სფეროსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სტუმრები მოწვეულები იყვნენ "ავერსიდან", "წითელი ჯვრიდან" და მოსწავლეახალგაზრდობის სახლიდან.

ნანა კოხრეიძე, "ახალი გზის" სამტრედიის ფილიალის ხელმძღვანელი: "საჭიროა ჩვენი მხრიდან აივ დადებითი პირების რეალური და არა ფორმალური მხარდაჭერა. მათი პრობლემების გათავისება, საზოგადოებას უნდა გააცნო, რომ შიდსი არ არის ყველა სხვა ინფექციაზე საშიში, იგი ქრონიკული მართვადი დაავადებაა.

აივ ადამიანები მოსახლეობისათვის საშიშროებას არ წარმოადგენენ და ეს დაავადება ყველას შეიძლება თანაბრად დაემართოს".

"შიდსის ცენტრის მონაცემებით, საქართველოში აივ შიდსის შემთხვევების ტენდენცია მზარდია და 7000 შემთხვევას გადააჭარბა. 2018 წლის 1-ლი დეკემბრის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია აივ შიდსის 7380 შემთხვევა, მათგან 5526 მამაკაცია, 1854 ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 39 წლამდეა. შიდსი 3938 პაციენტს განუვითარდა, 1500 _ გარდაიცვალა.

2018 წლის პირველ 11 თვეში გამოვლინდა აივ შიდსის 618 ახალი შემთხვევა (შარშან შესაბამის პერიოდში გამოვლენილი იყო 583 შემთხვევა).

აივ შიდსის გამოუვლენელი შემთხვევების მაჩვენებელი (44%) სადღეისოდ მთავარი გამოწვევაა. გამოვლენის დაბალი მაჩვენებელი აივ გვიანი დიაგნოსტიკის მთავარი მიზეზია. ამასთან, ახლად გამოვლენილი აივ შიდსით ავადმყოფების 55% ვლინდება გვიან სტადიაზე, ხოლო 30%-ზე მეტს უკვე აღენიშნება შორსწასული დაავადება. თავის მხრივ, აივ გვიანი გამოვლენა ავადობისა და სიკვდილობის მთავარი მიზეზია." _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა ფსიქოსოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრის დირექტორმა დალი უშარიძემ.

ქალები ძალადობას ებრძვიან!





თეა ბაბუნაშვილი

სანამ საკრებულოს დარბაზში შეიკრიბებოდნენ, ნარინჯისფერი სამკერდე ნიშნებით გულზე ძალადობა გააპროტესტეს. გენდერული თანასწორობის საბჭო სამტრედიაში კიდევ ერთხელ, 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში შეიკრიბა, რომელიც 25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს დაიწყო და 10 დეკემბრამდე, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღემდე, გასტანა. კამპანიის ფარგლებში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღი აღინიშნა, 29 ნოემბერი _ უფლებადამცველ ქალთა საერთაშორისო დღე, 1 დეკემბერი _ შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე, 5 დეკემბერი _ მოხალისეთა საერთაშორისო დღე, 6 დეკემბერი _ მონრეალში მომხდარი ტრაგედიის ხსოვნის დღე.

კამპანია, ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემების აქტუალიზაციას რომ გულისხმობს, მსოფლიოს მასშტაბით 1991 წლიდან იმართება. ამჯერად 16 დღიანი კამპანიის თემა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაა. როგორც კამპანიისადმი მიძღვნილ ბიულეტენში წერია: "ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს, რისი დასტურიც გახლავთ ბოლო პერიოდში განხორციელებული არაერთი ღონისძიება, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ დონეზე. 2018 წელს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის კოორდინირებით, საქართველოს მთავრობა გეგმავს სამთავრობო უწყებების ერთიან და ინდივიდუალურ ღონისძიებათა სერიას, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას, როგორც კამპანიის, ისე კანონმდებლობისა და არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ."

საკრებულოს დარბაზში შეკრებილებს "საქართველოს დემოკრატიის სახლის" ხელმძღვანელი ირინა ქართველიშვილი, რომელიც იმავდროულად გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრიც გახლავთ, ზოგადად გენდერის რაობაზე, გენდერულ თანასწორობაზე, ფემინიზმსა და გენდერულ მეინსტრიმინგზე, ფემიციდზე, ადრეულ ქორწინებასა და ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმებზე ესაუბრა. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა თამილა კეკელიძემ სამტრედიის სინამდვილეში ამ კუთხით არსებულ პრობლემებსა და საკითხებზე გააკეთა აქცენტი. როგორც აღნიშნა, საბჭო, რომლის თავმჯდომარეც ადგილობრივი საკრებულოს თავმჯდომარეა, სამ თვეში ერთხელ იკრიბება და იმ დროისთვის არსებულ პრობლემურ განაცხადებზე საუბრობს. ბოლო პერიოდში მათ ერთმა ქალბატონმა მიმართა, რომლის პრობლემაც მოაგვარეს.

არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, 2018 წელს ქალთა მიმართ ძალადობაზე ოჯახში მომხდარი დანაშაულის 4 111 შემთხვევაა დაფიქსირებული. აქედან გახსნილია 2 550, ანუ ნახევარი. პოლიციის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერის რაოდენობა 6213-ს აღწევს. ამ კუთხით სანქციები და სასჯელი სულ უფრო მკაცრდება.

გარდა ამისა, როგორც თამილა კეკელიძე უსვამს ხაზს, გენდერული თანასწორობა მხოლოდ ქალების უფლებების დაცვას და მათზე ძალადობის აღმოფხვრას არ გულისხმობს, მაგრამ, ჯერჯერობით, სამტრედიაში საბჭოსთვის არც ერთ მამაკაცს არ მიუმართავს.

"ლამპარში" მხიარულად გაატარეს დღე

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეა.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის თანამშრომლები და მოხალისეები შშმ ბავშვთა დღის ცენტრ "ლამპარს" ესტუმრნენ.

ფილიალის მოხალისეებმა ცენტრის აღსაზრდელები კერძო შემომწირველის მიერ გადმოცემული ტკბილეულით და წითელი ჯვრის ლოგოიანი ბუშტებით დაასაჩუქრეს. ბავშვებმა ხალისიანად უმასპინძლეს მოხალისეებს, ისაუბრეს, ერთად ითამაშეს და მხიარულად გაატარეს დღე.

სწჯს სამტრედიის ფილიალი დიდ მადლობას უხდის მხარდამჭერ პირს. მისი თანადგომით უკვე არაერთი მსგავსი აქცია განხორციელდა. ის მომავალშიც გეგმავს ანალოგიური ქველმოქმედებით ფილიალის დახმარებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საქმიანობის ეფექტურობისათვის, რადგან ჩვენ ვეხმარებით თქვენი დახმარებით.

ნათია კაკავა
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი

ქვეყანაში სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შენარჩუნებული არასახარბიელო სოციალური ფონის მიუხედავად, აშკარად იმატა ავტომობილების მფლობელთა რაოდენობამ. ახლა საუწყებო თუ საჯაპანო ტრანსპორტი...

ერთი სიტყვით, ქალაქ სამტრედიაში დღისა თუ ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ათასობით მსუბუქი თუ სატვირთო, მძიმე და ზემძიმე წონიანი მანქანა გაივლის. ინტენსიურად მოძრაობს საქალაქთაშორისო ტრანსპორტი.

ასე რომ, ცხოვრების მდელვარე თუ მჩქეფარე რიტმში, გვინდა თუ არა, სამტრედიელებიც ჩართულები ვართ.

ამ დღეებში ჩვენი ქალაქის ქუჩებში კვლავ აციმციდნენ შუქნიშნები, რაც არათუ აუცილებელი, უდავოდ მისასალმებელიცაა. შუქნიშნები დიდი ხანია არ მუშაობდა და სამტრედიელთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ძირითად გზაჯვარედინებზე დაიხაზა ასფალტი, ყველაფერი კი, საგზაო წესების დაცვის შემთხვევაში, მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილებას შეუწყობს ხელს.

მაშ ასე, შუქნიშნები მუშაობენ. გზაჯვარედინები "ზებრა გადასასვლელებმა" დაამშვენა.

ვიაროთ ფრთხილად, მშვიდობიან მგზავრობას გისურვებთ!

ლევან გაბეჩავა

ბახბახობას გილოცავთ!

ქრისტიანული წმინდანის ბარბარეს (ბარბალეს) სახელობის დღესასწაული ხალხური წესჩვეულებისამებრ იმართება 4-6 დეკემბერს (ძველი სტილით). წმინდა ბარბარეს კულტი აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა შორის წარმოიშვა, მის სამშობლოდ ეგვიპტეს ასახელებენ. წმინდა ბარბარეს უმთავრესად თაყვანს სცემდნენ, როგორც ავადმყოფთა მკურნალსა და მფარველს.

ბარბარობა მორწმუნე ქართველთათვის ერთ-ერთი უმთავრესი წინასაახალწლო დღესასწაულია. მორწმუნეებს (ჩვენს ქვეყანაში) წმინდა ბარბარე ქალების, ფურებისა და საერთოდ ნაყოფიერების, დედური ძალების მფარველ ასტრალურ ქალღვთაებად ჰყავდათ მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ ბარბარობაში ასახულია ქართველთა კოსმოგონური წარმოდგენები, რადგან ეს დღეობა ითვლებოდა ზამთრის მზის ბუნიაობის დღეობად.

სხვადასხვა რიტუალი, ლოცვა-ვედრება, შესაწირავები იყო ყოველთვის დამახასიათებელი ამ რელიგიურ დღესასწაულთან, მაგრამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რიტუალი იყო და არის მეკვლეობა, ბედობა.

17 დეკემბერს (ახალი სტილით) აღნიშნავს ეკლესია წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენების დღეს, ბარბარობას.

წმინდა ბარბარე იყოს ყოველთა ქართველთა და ქრისტიანთა შემწე და მეოხი.

ლევან გაბეჩავა

"აქ მოსვლა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მანიჭებს"

ნინო ნანიტაშვილი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დღის ცენტრ "ლამპარს" ოფიციალური სამტრედიაც ეწვია. მერიის კულტურის სამსახურმა ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარებს ერთი ლამაზი და მხიარული დღე აჩუქა.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოადგილე კობა ძიძიგური, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი თინათინ ხარძიანი და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ტკბილეულითა და სათამაშოებით ხელდამშვენებულები 5 დეკემბერს "ლამპარს" ესტუმრნენ. ბავშვების უდიდესი სიხარული გამოიწვია საყვარელი მულტფილმის პერსონაჟების დანახვამ. ნათია ჭელიძემ მიკი და მინი მაუსთან, გოჭი პეპასთან და პრინცესასთან ერთად კოსტიუმირებული შოუ უანგაროდ გამართა.

დღის ცენტრი "ლამპარი" ადგილობრივი ხელისუფლებისა და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მხრიდან მუდმივი მზრუნველობის ობიექტს წარმოადგენს. ხშირი სტუმრიანობა ოფიციალურ სამტრედიას სურვილს უჩენს, სპეციალური საჭიროების მქონე პატარებთან მომავალშიც ბევრი წუთი გაატაროს.

ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის მერი: "აქ მოსვლა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მანიჭებს. მინდა, ხშირად ვიარო "ლამპარში", რადგან აქაურები ჩვენგან დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ, როცა ამ ანგელოზებთან ერთად ვატარებ რამდენიმე წუთს. მგონია, ჩვენი სტუმრობით გარკვეული წვლილი შეგვაქვს მათ სააღმზრდელო პროცესში".

კონცერტის ბოლოს ყველამ ერთად დღის სამახსოვრო ფოტო გადაიღეს.

მე-11 საჯარო სკოლის ეკოკლუბი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან

მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეები ამ დღეებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრს სტუმრობდნენ. სამტრედიაში ეს ერთ-ერთი დაწესებულებაა, სადაც სპეციალური საჭიროების მქონე 6-დან 18 წლამდე მოზარდებზე დღის განმავლობაში სპეციალისტები ზრუნავენ და მათ სხვადასხვა აქტივობებში აქტიურად რთავენ.

მე-11 საჯარო სკოლა ნიკო კეცხოველის პროექტში მონაწილეობს, ეკო-კლუბის წევრები სხვადასხვა სახის პროექტს ახორციელებენ, მათ შორის არის ეკოლოგია. გარემოს ნორჩმა დამცველებმა გადაწყვიტეს, 4 დეკემბერი "ლამპარის" აღსაზრდელებთან გაეტარებინათ და ამ კუთხით მათი ცნობიერება აემაღლებინათ.

დაწესებულების დანიშნულებისა და მათი საქმიანობის შესახებ სტუმრებს დღის ცენტრის პროგრამების კოორდინატორმა უამბო. სოფიო კუპატაძემ მადლობა გადაუხადა ეკოკლუბის წევრებს, "ლამპარით" დაინტერესებისა და კეთილი მიზნების განხორციელების გამო.

ეკოკლუბის მოწვევით იმ დღეს "ლამპარში" იმყოფებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული თოჯინების ბავშვთა თეატრი, ხელმძღვანელი ლალი პირტახია. მაყურებელს მიესალმა ბეჯითი ვანო, რომელსაც მე-11 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე მარიამ კაჭახიძე განასახიერებდა.

დღის ცენტრის აღსაზრდელებმა მე-11 სკოლელებთან ერთად იმღერეს, იმხიარულეს და ხატვით გული იჯერეს. სტუმრებმა თანატოლ მასპინძლებს ტკბილეული გადასცეს და მომავალში კიდევ ბევრ სტუმრობას დაპირდნენ.

ნინო ნანიტაშვილი

დისციპლინა და პასუხისმგებლობა _ მისი წარმატებული საქმიანობის გასაღები

ქეთევან ჭელიძე

როცა ლუარა კახიანს ახსენებენ, ვიცითო, იმას კი არ იტყვიან, არამედ, ო, რა ქალიაო! _ სიყვარულით შეჰხედეს სათაო ოფისში ახალგაზრდა თანამშრომლებმა "ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის სამედიცინო ამბულატორიული ცენტრის მენეჯერს.

ეს სახელი და გვარი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვისაც ბევრს ნიშნავს. მის მიღმა ღირსეული ადამიანი დგას, რომელსაც არჩევანი ოჯახსა და სამსახურს შორის არასდროს გაუკეთებია. ასე მან თქვა და იოტისოდენა ეჭვიც არ შეგაქვს, რომ ეს ასე არ არის. "სხვა თუ ქონების დაგროვებით განიცდიდა ბედნიერებას, მე მას ის საქებარი სიტყვები მანიჭებდა, კორიფე ექიმები ჩემი წინადადებების გამო საბჭოს სხდომებზე რომ მეუბნებოდნენ". _ გვარწმუნებს ქალბატონი ლუარა. ეს არათუ სხვებთან გაჯიბრება, მისი ცხოვრების მრწამსი იყო _ უანგაროდ ეშრომა, ელვაწა და სიცეთე ეკეთებინა. ამიტომ შეიყვარეს, ერთგულობენ, ენდობიან და პატივს სცემენ.

წლებითა და საქმით დაღლილი კი არა, ენერგიით, იდეებით, ახალგაზრდული შემართებით სავსე ქალბატონი მოკრძალებით გვიყვება თავის განვლილ ცხოვრებაზე, რომელსაც ერთი საგაზეთო წერილი ნამდვილად ვერ დაიტევს, თუმცა, შევეცადეთ მაინც.

კახიანების ოჯახი გამორჩეული იყო საჯავახოში. მთელ სოფელში სანაქებო შვილები იზრდებოდნენ იქ _ ლუარა და ლუიზა. სკოლაშიც კარგად სწავლობდნენ და სამეურნეო საქმეებშიც აქტიურად ეხმარებოდნენ მშობლებს. ნიჭიერები არა, უფრო მუყაითები და შრომისმოყვარეები ვიყავითო. _ ამბობს ლუარა კახიანი. შედეგად სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ხოლო მისი და, ლუიზა, საქართველოს მასშტაბით მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს შორის შეარჩიეს და ახლად გახსნილ კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში ჩარიცხეს. იგი ამ სკოლის პირველი კურსდამთავრებულიც გახდა.

ბავშვობიდან ოცნებობდა ლუარა კახიანი ექიმობაზე. მით უფრო, მეზობლად ისეთი ექიმები ცხოვრობდნენ, როგორებიც ცოლ-ქმარი ნატალია ნიკოლეიშვილი და ტოგო სულავა იყვნენ. სურვილი ხმამაღლა არასდროს გაუჟღერებია, რადგან მისი წარმოდგენით ამ პროფესიის ადამიანები ძალზე მაღლა მდგომი, ზებუნებრივი ძალის მქონენი იყვნენ. მათ ოჯახში ერთ-ერთი სტუმრობის დროს ტოგო სულავას ლუარა კახიანის მამისთვის უთქვამს: ეს კარგი გოგოა და მოდით, ექიმად გავზარდოთო.

სწავლაში ბეჯითი და მძლეოსნობაში თანრიგოსანი სპორტსმენი სოფლის საექიმო ამბულატორიაში, რომლის გამგეც ნატალია ნიკოლეიშვილი იყო, სტაჟირებისთვის სანიტრად იწყებს მუშაობას. არაფერს თაკილობდა, მთელი დღე ტრიალებდა: ექიმს ეხმარებოდა, ალაგებდა, შეშას ჩეხავდა. თავი შეაყვარა პაციენტებს და თვითონაც შეიყვარა ისინი. ის ბავშვი მორიგე როდის იქნებაო, კითხულობდნენ თურმე.

მერე იყო სტუდენტობის დაუვიწყარი წლები. შეხვედრა მომავალ მეუღლესთან, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთან, სამტრედიელ ნოდარ ვაშაკიძესთან. შვილების დაბადებით გამოწვეული სიხარული და გზა, რომელსაც წარმატებული კარიერისკენ მიჰყავდა.

მეუღლე ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, თვითონ შვილებთან ერთად რაიონში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად რომ დაბრუნდა. "მუშაობა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურში დავიწყე. მომეწონა სამტრედიის ინტელიგენცია, განსაკუთრებით აღფრთოვანებული ვიყავი ექიმთა საზოგადოებით, ძალიან ძლიერი სპეციალისტები იყვნენ. სულ ვეკითხებოდი ჩემს თავს, ღირსი ვარ, ამ ადამიანების გვერდით ვიყოთქო. ვცდილობდი, საკუთარ თავზე მემუშავა, არაფერი შემშლოდა და არ შევრცხვენილიყავი. ისინი სტიმულს მაძლევდნენ და მეც მინდოდა, კიდევ უფრო უკეთესად მეკეთებინა საქმე". _ მისთვის დაუვიწყარ მოგონებებს ჩვენც გვიზიარებს ქალბატონი ლუარა.

მარიამი და თეკლა

როცა სანეპიდსადგურის ხელმძღვანელმა, ექიმმა დავით კაჭახიძემ სამსახურიდან წასვლა გადაწყვიტა, ჩემი ადგილი შენ უნდა დაგიტოვოო, უთხრა ლუარა კახიანს. შორს დაიჭირა ახალგაზრდა ექიმმა, ვერ შევძლებო. თუ მოინდომებ, ყველაფერს გააკეთებო და ისიც 30 კაციანი ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნეს. რაიონის მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ექიმს საქმე ბევრი ჰქონდა. ვაჟკაცებს ვებრძოდიო, _ ახლა უკვე ღიმილით იხსენებს და სამტრედიაში მის მიერ დროებით დახურულ იმ რამდენიმე დიდ საწარმოზე გვიყვება, სადაც სანიტარული ნორმები ირღვეოდა. იცოდა, სიმართლე მის მხარეს იყო და არც მუქარების ეშინოდა. როგორც იტყვიან, სამსახურში ათენებდა და აღამებდა. დილის ოთხ საათზე უკვე ხონში იყო და წყლის დაქლორვის პროცესს ესწრებოდა; ირღვეოდა თუ არა სანიტარული ნორმები პირუტყვის წველის დროს, მის შესამოწმებლად დილით ადრე ფერმებში მიდიოდა. დაავადება არ გავრცელებულიყო, ეს გახლდათ სამსახურის მიზანი და ისიც თავს არ ზოგავდა. სამედიცინო პრაქტიკაში ისეთი ფაქტებიც ჰქონია, დღემდე რომ ვერ ივიწყებს. თუნდაც, იმ მასშტაბურ მოწამვლას ქალაქის ნაბაკევში, ქორწილში, როცა 78 ადამიანი რამდენიმე ქალაქის ინფექციურ საავადმყოფოებში იქნენ გადაყვანილი. სამტრედიელი ექიმ-ეპიდემიოლოგების გამარჯვება ზუსტი ბაქტერიოლოგიური კვლევის ჩატარება იყო, რის საფუძველზეც სწორი დიაგნოზი დაისვა და ყველა პაციენტი გამოჯანმრთელდა.

ყოფილ მთავარ სახელმწიფო სანიტარს დღეს არა მარტო თვალში ხვდება თითქმის ყველგან არსებული ანტისანიტარია, უკვირს კიდეც სიტუაციის მიმართ უყურადღებობა.

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურში ათწლიანი მუშაობის შემდეგ, 1986 წელს, ლუარა კახიანი პოლიკლინიკის დარგში მთავარი ექიმის მოადგილედ, შემდეგ მთავარ ექიმად დაინიშნა. დაწესებულებამ მხოლოდ სახელი შეიცვალა და არა ადგილმდებარეობა. ჯერ შპს "მკურნალი" ერქვა, ამჯერად, "ჯეოჰოსპიტალსის" სამედიცინო ამბულატორიული ცენტრი გახდა. მთავარი ექიმიც დღეს უფროსი ექიმი და მენეჯერია. შვილივით მიყვარს აქაურობაო, ამბობს და სიამაყით გვიხსნის, თუ როგორ კარგად აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები აქვთ, ბენეფიციარებს სხვადასხვა სპეციალობის ექიმები ემსახურებიან. როგორც მენეჯერი აღნიშნავს, ცენტრში ონკოლოგისა და ალერგოლოგის მოწვევა დღემდე პრობლემად რჩება. "შემცვლელები აღარ არიან. ზოგადად, სპეციალისტების ნაკლებობაა. ჩვენ ძლიერი ონკოლოგი გვყავდა იური პოგორელსკი, ქუთაისში იყო, აგრეთვე, ექიმი ვლადიმერ კოროტენკო. ორივენი გარდაიცვალნენ და ეს დიდი დანაკლისია. დავძენთ, რომ ბატონი იური ქალბატონი ლუარას მულის, ასევე ცნობილი ექიმის, ნათელა ვაშაკიძის, მეუღლე იყო. ქალბატონი ნათელა კი ამბულატორიული ცენტრის მაღალპროფესიონალი კარდიოლოგია. "ჩემი მულის ოჯახთან ერთად 40 წელი ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრეთ და ჩვენი შეხმატკბილებული ურთიერთობა ყველასთვის ცნობილია". _ სიამაყით აცხადებს ის.

"ჯეოჰოსპიტალსის" სამედიცინო ამბულატორიულ ცენტრში 63 ადამიანია დასაქმებული. თითოეულ მათგანს ზედმიწევნით იცნობს მენეჯერი. იცის მათი ოჯახური მდგომარეობა, პრობლემები თუ სიხარულის მიზეზი. "როცა მჭირდება და ვხედავ, ჩემს გვერდით დგანან, მეც ყოველთვის მათ გვერდით ვიქნები. ეს იციან და ამიტომ ჩემს მიერ მიცემულ დავალებებს უყურადღებოდ არ ტოვებენ. ბევრთან, წლებია, მეგობრობაც მაკავშირებს. ძირითადი ბირთვი ახალგაზრდები არიან, როგორც გიორგი ლეონიძე იტყოდა, ისინი "აფრა, ცეცხლი და ნიავი" არიან. მსიამოვნებს მათთან მუშაობა. მათაც უყვართ ჩემთან ყოფნა. ერთმანეთს ხშირად აჯავრებენ: შენ პატარა ლუარა ხარო, როცა რაღაცით მემსგავსებიან". _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი. თუმცა, როცა საქმეს სჭირდება, მეგობრობა ხელს არ უშლის, მკაცრად მოითხოვოს. "ფეთქებადი ხასიათის ვარ". _ გვიხასიათებს საკუთარ თავს. _ "როცა რაიმე არ მომეწონება, იქვე მაქვს რეაქცია. ეს ჩემდაუნებურად ხდება. ძილის წინ (მხოლოდ მაშინ ვიცლი ფიქრისთვის) ვასამართლებ ჩემს თავს, რამდენჯერ გამიმართლებია, ან გამიმტყუნებია. მერე მოვსულვარ სამსახურში და რაღაც ჟესტით მომიბოდიშებია".

დისციპლინა და პასუხისმგებლობა მისი წარმატებული საქმიანობის გასაღებია. საკუთარი თავისადმი მომთხოვნი, არასოდეს ავალებს თანამშრომლებს ისეთ რამეს, რის გაკეთებასაც თვითონ ვერ შეძლებს. "ეს მათაც იციან, ჩემი რიდი აქვთ. ალბათ, სიყვარულიც. შეიძლება, ხანდახან უტაქტოდაც გამომივიდეს ნათქვამი, მაგრამ ამ მპატიობენ. ცდილობენ, თავიანთი საქმე კარგად აკეთონ. ჩვენი მუშაობა განსაზღვრავს ჩვენს ხელფასს, ცენტრში არსებული პირობები ჩვენი შემოსავლებით უნდა უზრუნველვყოთ. შპს ვართ და სახელმწიფო პროგრამებში ჩართვა გვეხმარება, საკუთარი შემოსავლები გვქონდეს". _ ცენტრის საქმიანობაში გვახედებს მენეჯერი.

"არიან ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრის დროს რაღაც გაგონდება. ქალბატონი ლუარას მიმართ ყოველთვის დადებითი რამ მახსენდება. ძალიან ენერგიულია, მიზანდასახული, შრომისმოყვარე. ხვალისთვის არასდროს არაფერს გადადებს. ძალიან უყვარს თავისი ოჯახი. ცდილობს, ყველას ნაცვლად ყველაფერი თვითონ გააკეთოს. უმკლავდება საქმეს სახლშიც და სამსახურშიც. შრომისმოყვარეობა, ენერგიულობა, მისთვის დამახასიათებელი თვისებებია, დაუზარელი ქალბატონია.

ჩვენ მეგობრები ვართ. არასდროს არაფერზე გეტყვის უარს, თუკი შეუძლია. ყოველთვის გვერდით დაგიდგება". _ გვეუბნება თავის ხელმძღვანელსა და მეგობარზე ექიმი ია ხურცილავა.

უროლოგი ნატო მელქაძე სრულიად ახალგაზრდა მოვიდა სამედიცინო დაწესებულებაში ქალბატონ ლუარა კახიანთან. "20-წლიანი ურთიერთობა გვაქვს". _ ამბობს ის _ "ჩემთვის უფროსი კოლეგა და მასწავლებელია. აქ რომ დავიწყე მუშაობა, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და თუ რამეში რჩევა დამჭირდებოდა ან დარიგება, ყოველთვის მზად იყო ამისთვის. ყველანაირ თემაზე შემეძლო მასთან საუბარი, დიდი იმედი მქონდა მისი. დღემდე ასეა. მიხარია, ასეთი ურთიერთობა რომ გვაქვს. ძალიან განათლებული, მეგობრული, დადებითი ადამიანია, ყოველთვის გვინდა, ჩვენს გვერდით იყოს. არაჩვეულებრივი თამადაა, გვსიამოვნებს პოეზიისადმი მისი სიყვარული. ახალგაზრდები ვამაყობთ ქალბატონი ლუარათი. პატივია, ჩვენს გვერდით რომ არის.

როცა საქმეს სჭირდება, ძალიან მკაცრია, მომთხოვნია პაციენტის სასარგებლოდ".

ფინანსური კაბინეტის სპეციალისტის, ნანა ბახანაშვილის, აზრით, ლუარა კახიანი საუკეთესო ადამიანია. "მთელი დღე რომ ვისაუბრო მასზე, ალბათ, დრო მაინც არ მეყოფა იმ დადებითი თვისებების ჩამოსათვლელად, რაც მას ახასიათებს. დაწესებულების შეუცვლელი ხელმძღვანელი, ერთგული, თბილი, კომუნიკაბელური, თანამ-

თოჯი ვლადიმირებს ცოცვარიოლი ან გვაყვშირებს

შეხვედრა 46 წლის შემდეგ

1970 წელს იობაძეების ოჯახში უწყება მიიტანეს. 18 წლის ზალიკო სამხედრო სავალდებულო სამსახურში უნდა გამოცხადებულიყო. როგორც მაშინ ხდებოდა, ვაჟკაცი ხმაურით გააცილეს ოჯახიდან. დედის ცრემლიან თვალებს, მამის ამაყ გულს და ახლობელ-მეგობრების საუკეთესო სურვილებს 2 წელი უნდა ესაზრდოვებინა ახალგაზრდა ბიჭი.

1970 წელს, ზუსტად ამ დროს, უწყება აზერბაიჯანში, გუბინის რაიონში, სოფელ ელენოვკაში, გაჯიევების ოჯახმაც მიიღო. მაშინ ზალიკო არც იფიქრებდა, 18 წლის ზაგირი მისი საუკეთესო და გულითადი მეგობარი თუ გახდებოდა.

ზაგირ გაჯიევი და ზალიკო იობაძე რიგაში, სამშენებლო ნაწილში, სხვებთან ერთად, ერთ ბრიგადაში გაანაწილეს და 2 წელიც ერთი ამოსუნთქვასავით, სწრაფად გაფრინდა. საბჭოთა სამსახურმა, საბჭოთა წესრიგმა, საბჭოთა ვალდებულებებმა და ერთად გატარებულმა დღეებმა განუმეორებელ მეგობრობას დაუდო საფუძველი.

მას შემდეგ ზუსტად 46 წელი გავიდა. ახლა ზალიკო და ზაგირი 66 წლის, ოჯახსმოკიდებული და შვილიშვილებით დახუნძლული, ჭირსა და ლხინში გამოცდილი, ჭარმაგი მამაკაცები არიან. ალბათ, ძნელად წარმოსადგენია მათი ერთად ყოფნაც, თუმცა რამდენიმე ასეული კილომეტრი, ინტერნეტის ეპოქასთან გასამკლავებლად ვერაფერი შვილი გამოდგა. მეგობრის ხილვის სურვილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ზაგირმა ზალიკოს ძებნა ინტერნეტით დაიწყო, მაგრამ მის სახელს ვერსად მიაგნო. სრულიად შემთხვევით სულიკო იობაძეს დაუკავშირდა, რომელიც წარმოშობით სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთიდანაა. მანვე აღმოაჩინა დაფნარში მცხოვრები მეგვარე და მისივე დამხარებით მოხდა ზალიკოსა და ზაგირის 46 წლის შემდეგ კვლავ შეხვედრა.

ელენოვკადან ცოლთან და შვილთან ერთად ზაგირი დაფნარში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა. წლების შემდეგ მონატრებული მეგობრების შეხვედრა წარმოუდგენლად ემოციური აღმოჩნდა. გატეხილი რუსული და არც ერთი ქართული სიტყვა, მაგრამ ზალიკოსა და ზაგირის გულანთებული სიყვარული სრულიად საკმარისი იყო, განწყობა ირგვლივ მყოფებზეც გადმოსულიყო.

ყველაფერი, ტრადიციისამებრ, ქართულ სუფრასთან გაგრძელდა. "როცა ჯერს მოვრჩით, ჯერ ზალიკოს ჩამოვევი სამტრედიაში და მერე თავად წავიყვანე სამშობლოში. ეს იყო 1972 წელი. მას შემდეგ ერთმანეთს დავშორდით. აღმოჩნდა, რომ ჩვენ შორის მხოლოდ მანძილი იყო დიდი. ის 2 წელი ყველაფერს ვიყოფდით. დღემდე ტკბილად ვიხსენებ ზალიკოს და კიდევ ორ ქართველ ბიჭს, რომლებმაც ქართველები და თქვენი ქვეყანა შემაყვარეს. მე ვიცნობ საქართველოს ისტორიას, თქვენ ძლიერ მეფეებს, დავით აღმაშენებელსა და გიორგი ბრწყინვალეს. ეს არის ქვეყანა, რომელიც ჩემთვის საყვარელ ადამიანებთან ასოცირდება. სხვაგვარად მე დღეს აქ არ ვიქნებოდი". _ ამბობს ზაგირ გაჯიევი. პროფესიით ვეტერინარი, მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად ცხოვრობს და სოფლის მეურნეობას ეწევა. ვაშლისა და მსხლის ბაღებთან ერთად ვაზსაც უვლის. ამიტომ სუფრასთან ქართულ ღვინოს აზერბაიჯანულიც უმშვენებდა გვერდს.

"ცხოვრებაში ფასი აქვს დაკარგული ყველაფერს, სადაც ჭეშმარიტი მეგობრობა არ არსებობს, მაშინ ყველაფერი ყალბია. დღევანდელი დღე სიზმარს ჰგავს. ვერც კი წარმოვიდგენდი, 46 წლის შემდეგ ზაგირს ისევ თუ შევხვდებოდი. ჩვენმა ურთიერთობამ დროს გაუძლო და დიდი გამოცდაც ჩააბარა. მადლობელი ვარ ამ ბედნიერი დღისთვის". _ აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ბატონი ზალიკო. იგი დაფნარში მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს.

ასე მიილია ეს დღეც. იყო ბევრი მოგონება, სადღეგრძელო, კავკასიური სულის ზეიმი და დიდი სითბო. "დამიჯერეთ, მზე არ მზეობს და მადლი არსად ჩანს, თუკი ადამიანებს სიყვარული არ გვაკავშირებს. ქართველების მსგავსად წინაპრებს ჩვენც ვეთაყვანებით, მაგრამ იცით, არც ერთ სუფრას ამ სადღეგრძელოს გარეშე არ ვასრულებ". გვიხსნის ჩვენი სტუმარი. "_ საძირკვლის ქვების სადღეგრძელო ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ყველაფერი ყალბია, თუკი საძირკველი ძლიერი არ აქვს. ჩემი და ზალიკოს ძლიერი სიყვარულის შედეგია დღევანდელი დღეც და ზუსტად ამაში დევს ცხოვრების აზრი..."

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი დღე ჩემთვის მოულოდნელობით სავსე აღმოჩნდა. ჩემი გვარის რამდენიმე ღირსეული ადამიანის შეკრებაც ბატონი ზაგირისა და მისი ოჯახის დამსახურებად უნდა ჩავთვალოთ.

ნათია ილგაძე

შრომლებისთვის გვერდით მდგომი ადამიანია.

როცა ამხელა დაწესებულების ხელმძღვანელი ხარ, სიმკაცრე მნიშვნელოვანია. უყვარს წესრიგი, გუნდური მუშაობა. ყოფილა საქმე, რომელიც სწრაფად უნდა გაგვეკეთებინა და შეუძლებლად მიგვაჩნდა. ქალბატონმა ლუარამ ისეთი მობილიზება მოახდინა თანამშრომლების, გადაულახავი რომ გვეგონა, მცირე დროში გაკეთდა.

ძალიან კარგი თამადაა ჩვენი ხელმძღვანელი. პოეზიასთან ახლოსაა და დილის თათბირიც კი, შეუძლია, ლექსით გაგვილამაზოს.

ინტუიცია აქვს ძალიან კარგი, ორი წუთით რომ გავიდე და ტელეფონზე ვუთხრა, აქ ვარ, ოთახში-თქო, კართან დამხვდება".

"ქალბატონი ლუარას დამსახურებაა, მთავარი ექთნის პოზიციაზე რომ ვარ. ბედნიერი ვარ, ამ კოლექტივში რომ ვმუშაობ და ის ჩვენი ხელმძღვანელია.

ყურადღებას ითხოვს ყველასგან, როცა საქმეს სჭირდება. ამ ბოლო დროს ვამჩნევ, რომ მენდობა და ეს ძალიან მიხარია. მისი მეშვეობითაა, ერთი გუნდი რომ ვართ. მისგან ყველაფერი ვისწავლე. მგონია, სულ სხვანაირი, უკეთესი ადამიანი გავხდი.

ჩვენი უფროსი რომ არ იყოს, ვფიქრობ, ამ დაწესებულებას ასეთი რეიტინგი არ ექნებოდა."

"ჯეოჰოსპიტალსის სამედიცინო ამბულატორიულ ცენტრში ხდება, აგრეთვე, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენა. შექმნილია სამკაციანი კომისია, რომელსაც თავად ლუარა კახიანი ხელმძღვანელობს. კომისია არა მარტო სამტრედიას, არამედ, ვანსა და ხონსაც ემსახურება. წელიწადში ბენეფიციართა რიცხვი, დახლოებით, 300-400-ს აღწევს და არც ერთი შეცდომა. კომისიის თავმჯდომარის თქმით, ძალიან შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა, რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ჯიბეში ყოფ ხელს და აძლევ პენსიას. ყველაფერი შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე ხდება და პრეტენზიებითაც აღარავინ აკითხავთ. ისეთ კატეგორიასთანაც უწევთ მუშაობა, ვინც არც კი იცის, სტატუსის დადგენის მიზეზით ვის უნდა მიმართოს. მიაჩნია, რომ ასეთ ადამიანებს დახმარება ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ უნდა გაუწიოს, დააკვალიანოს და მთავრობასაც ყველაფერს აღარ დააბრალებენ.

წარმატებული ხელმძღვანელის გარჯა არასდროს რჩებოდა უყურადღებოდ. პაციენტების სიყვარულთან ერთად ჯილდო, ქების სიგელი, მადლობა დაუგროვდა. მათ შორის საბჭოთა კავშირის დროს საკავშირო მინისტრის მიერ გამოგზავნილი ჯილდოცაა. დღეს კი ქალბატონი ლუარა ღირსების ორდენის კავალერია.

პოზიისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ სამტრედიაში არც მარტო ექიმთა საზოგადოებამ იცის. "როცა ცუდ ხასიათზე ვარ, როცა რამე მიჭირს, რაღაც შესაბამისი ციტატები ამოტივტივდება და ვიმეორებ". _ გვეუბნება იგი.

პოზიის გარდა, გაგიკვირდებათ და, კარგად მოვლილი ბოსტანი უყვარს ქალბატონ ლუარას. ორი უკიდურესობაა, თუმცა, მისთვის დიდი სიამოვნებაა, როცა თვითონ აკეთებს ამას. შრომას ბავშვობიდან შეეჩვიეო და ამიტომ სოფელ ჭოგნარში, საიდანაც წლების განმავლობაში დადიოდა სამსახურში, ჩვეულებრივ ეწეოდა სოფლის მეურნეობას. უყვარდათ და ემაყებოდათ მეზობლებს თავიანთი კულტურული, განათლებული და მშრომელი ქალბატონი, მათ ჭირსა და ლხინს რომ იზიარებდა და კარგი ღვინის დაყენებაშიც რომ ტოლს არავის უდებდა. ყველაზე მეტად უპატივცემულობა სწყინს, სიხარულს კი ბევრი რამ ანიჭებს, ისიც, სხვებს თუ თავადაც ახარებს.

სუსტი არა, პირიქით, ძლიერი ქალია, ისეთი, ტყვიასაც რომ არ უშინდება. გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამი სრულებითაც არ გახლავთ. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა შეიარაღებული მხედრიონელები მიადგნენ სამსახურში, ნარკოტიკები მოგვეცი და რეცეპტიც გამოგვიწერეო, სასტიკად იუარა. მოგკლავთო და, მესროლეთ, ერთხელ მოვსულვარ და ერთხელ უნდა მოვკვდეო. უკან დაუხევიათ. ესაუბრა კიდეც, თურმე, მათ და მეორე დღეს, ბოდიშის მოხდის მიზნით, მისთვის სუნამოც კი მიურთმევიათ. თუმცა, პროფესიული შიში ყოველთვის თან დასდევს: "მეშინია, რაიმე გართულებები არ მოხდეს, რაიმე არ გამოგვეპაროს, ხელი არ დავაკლოთ პაციენტებს".

"ღირდა ცხოვრება!" _ ასკვნის ჩვენი რესპონდენტი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც წარმოედგინა. საყვარელი ადამიანების დაკარგვით გამოწვეული ტკივილიც აწვნია ცხოვრებამ. ჯერ დის, შემდეგ მეუღლის გარდაცვალება მისთვის გაუნელებელი დარდია. კარგი სიტყვის მთქმელი მისი მეუღლის, ნოდარ ვაშაკიძის მიმართაც ბევრია სამტრედიაში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ სამსახურში მაიორის ჩინით სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.

სიხარულით ავსებს ლუარა კახიანს თავისი ოჯახი, შვილები და შვილიშვილები. დავითი ძალოვანი სტრუქტურების პოლკოვნიკია, თამარი _ უმაღლესი განათლებით, სერტიფიცირებული ფარმაცევტი. რძალი, ნინო თარგამაძე, პედაგოგია. ცხოვრებას ულამაზებენ ბებიას პატარა მარიამი და თეკლა.

"ჩვენთან ერთად დედამთილი და მისი დედა ცხოვრობდნენ. ისინი მეხმარებოდნენ შვილების აღზრდაში. როცა წამოიზარდნენ, მერე დამოუკიდებლად უვლიდნენ თავს. ერთ ფაქტს გავიხსენებ: რაიონში 6 ბავშვი გარდაიცვალა. რატომ, რა მიზეზით, დღემდე ამოუხსნელია. თითქმის ყველანი ექიმები ვიყავით სახლში და იმ დღეებში საერთოდ ვერ შემოვდიოდით შინ. ვურეკავ ბავშვებს, ხომ არ გცივათ-მეთქი. კიდეც გვცივა, კიდეც გვშია და კიდეც გვეშინია, მალე მოდითო. როცა წამოიზარდნენ, მერე თვითონ მიწყობდნენ ხელს. ახლა კი სიამოვნებთ, საზოგადოებას აქამდე რომ შემოვრჩი".

მენეჯერის კაბინეტშიც და ამბულატორიული ცენტრის დერეფანშიც კარგად მოვლილი ქოთნის ყვავილებისკენ გაგირბის თვალი. მათაც ეტყობათ მზრუნველი ხელმძღვანელის ხელი...

ოთხლიანი ინტელექტუალური ზეიმი სამტრედიაში

ნათია ნაცვლიშვილი

ორი დღის განმავლობაში სადღესასწაულო სახლ "კოლხის" დარბაზში მიმდინარეობდა იოანე და თემურ ვაშაკიძეების სახელობის სამტრედიის მუნიციპალური მემორიალი ინტელექტუალურ თამაშში "რა? სად? როდის?". ტურნირი, ტრადიციულად, ტრაგიკულად დაღუპულ ძმებს, სამტრედიის ინტელექტუალთა გუნდის "ინტერსტელარის" წევრებს მიეძღვნა. მისი ორგანიზატორები არიან სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და სამტრედიის ინტელექტკლუბი. ჩატარდა თამაშები: "რ? სად? როდის?", ბრეინ რინგში, ჯეპარდში და ჭადრაკში.

წლეულს ტურნირმა არნახული მასშტაბი შეიძინა: ინტელექტუალურ შერკინებაში ოცდარვა ტიტულოვანი გუნდი მონაწილეობდა. სამტრედიას არაერთი ცნობილი ინტელექტუალი სტუმრობდა. ჟიურის ლოჟა კი სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრებმა დაიკავეს, პირველი დღის შეკითხვების პაკეტის ავტორებიც თავადვე იყვნენ. კითხვების ტოპ-რედაქტორი, გიორგი გვეტაძეა. გამარჯვებულები სლემის პრინციპით გამოვლინდნენ. წამყვანი, ტრადიციულად, სამტრედიის ინტელექტკლუბის პრეზიდენტი, გიორგი ჩაჩუა იყო. აუდიტორიასთან მისალმების შემდეგ მან მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის და ახალგაზრდობის სამსახურს და "კოლხის" მასპინძელს, მედეა ხუჭუას. მან სცენაზე ძმებ იოანე და თემურ ვაშაკიძეების მამა, ირაკლი ვაშაკიძე, მოიხმო, რომელმაც ტურნირის დაწყებამდე სიმბოლურად, ერთი შეკითხვა დასვა. შეკრებილთ მიესალმა და წარმატებები უსურვა მინიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალძემ. მოთამაშეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამტრედიის ინტელექტუალთა პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულ შუტა ლორიას.

"სამტრედიის მაცნე" ტურნირის დაწყების წინ რამდენიმე ცნობად სახეს, ინტელექტუალებს გაესაუბრა: "ბოკა ხუნიორსის" კაპიტანი ბაჩანა შენგელია: "პირველად ვარ სამტრედიაში მსგავს ტურნირზე, რამდენიმე წუთია მოვედი. ორგანიზების მხრივ, ჯერჯერობით, ძალიან კარგია, საკმაოდ ძლიერი გუნდებია, თბილისის უმაღლესი ლიგის გუნდები არიან, კონკურენცია იქნება ძალიან მძაფრი, ტურნირისგან ველოდებით ძალიან დიდი სიამოვნების მიღებას. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მშობლიურ ადგილას ვიმყოფები."

გიგა ნასარიძე, გუნდ "ბბქ ვიტამინის" წევრი: "პირადად მე სამტრედიაში პირველად ვარ, ჩემი გუნდის წევრები იყვნენ ადრე ("ბბქ" და "ვიტამინი" დღეს ორი გუნდია გაერთიანებული), მათ ბევრჯერ მიუღიათ მონაწილეობა და ისე შეაქეს ეს ტურნირი, მათი რეკომენდაციის საფუძველზე გადავწყვიტე, მეც მიმეღო მონაწილეობა. ერთის შეხედვით ძალიან კარგადაა ორგანიზებული, გამარჯვებისთვის მოვედით, მაგრამ 90-იანი წლების ბოლოდან ამ თამაშებში ვარ ჩართული და "რა? სად? როდის?" ეს ისეთი თამაშია, წინასწარ ვერაფერს იტყვი."

ლევან ცირეკიძე: "სამტრედიის ინტელექტკლუბის წარმომადგენელები ვართ ამ ორდღიანი მემორიალის ორგანიზატორები და "რა? სად? როდის?" და ბრეინ-რინგის კითხვების პაკეტის ავტორები. მეორე დღის კითხვების პაკეტისა კი თბილისის ინტელექტკლუბების წევრები არიან. რამდენიმე წელია ვატარებთ ამ ტურნირს და წლევანდელი მასშტაბი ტურნირისა ყოველგვარ საზღვრებს გასცილდა. 30 გუნდამდეა, სამეგრელოდან ოთხი, აჭარიდან _ სამი, იმერეთიდან _ ოთხი, სამტრედიიდანაც გვყავს გუნდები, დანარჩენი თბილისის გუნდებია, თითქმის ყველა სატელევიზიო "რა? სად? როდის?" ყველა წარმომადგენელია, 7-8 ამ სტუმართა შორის ბროლის ბუს მფლობელია, აქ არიან გაგი გაბრიჭიძე, დავით ლომინაძე, ოთარ საბაშვილი, ნიკოლოზ აგლაძე, სერგო თედორაძე. საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო კითხვების პაკეტის რეჟისორი ტონი ვაჭარაძე, ძალიან მოხარული ვარ."

ზაზა ადეიშვილი: "მასშტაბებს თანდათან კრებს ჩვენი ტურნირი, ყოველწლიურად წარმომადგენლობითი ხდება, დღეს მეც საორგანიზაციო კომიტეტში ვარ, დღეს გამოვა რამდენიმე ახალგაზრდული გუნდი, ჩვენი მთავარი გუნდი "ინტერსტელარი" სამტრედიელი ახალგაზრდებითაც იქნება წარმოდგენილი და რამდენიმე სოლიდური ლეგიონერით არის გაძლიერებული _ დათო ლომინაძე და გაგი გაბრიჭიძე ჩვენთან ითამაშებენ. კონკურენტული ტურნირი ჩატარდება, კითხვების შინაარსით და დონითაც ნახავთ, უმაღლესი სტანდარტის ტურნირია! საქართველოში უმაღლესი სტანდარტის გრან-პრის შეჯიბრებები რომ ტარდება, იმ დონისაა! საპრიზო ფონდიც სოლიდურია, ადგილობრივმა თვითმართველობამ მხარდაჭერა გამოგვიცხადა, კომიტეტმაც კარგად იმუშავა, დარბაზის მეპატრონეებს მადლობა, ამ შესანიშნავი ინფრასტრუქტურით ბარეორი ტურნირი ვერ დაიკვეხნის".

. თამაშში "რა? სად? როდის?" პირველი ადგილის მფლობელი "26-ე საათი" კაპიტანი (ნიკოლოზ ჭურაძე) გახდა, ის დაჯილდოვდა ათასი ლარით, მეორე ადგილზე გავიდა "კოზა ნოსტრა" (კაპიტანი სერგო თევდორაძე), მეორე ადგილოსნის საპრიზო ფონდი 500 ლარია, მესამე ადგილის მფლობელი კი სამტრედიელთა გუნდია " ALL BLACKS" (გიორგი ცაგარეიშვილი). მესამე ადგილოსანს სამასი ლარი გადაეცა. ჯეპარდში პირველი ადგილის მფლობელი, ინტელექტუალი თორნიკე ჯანგველაძე გახდა, გუნდ "26-ე საათის" მონაწილე. ასევე, მემორიალის ფარგლებში გაიმართა ბლიც ტურნირი ჭადრაკში, რომლის გამარჯვებულიც სიმონ ხაჟალიაა. მეორე ადგილზე კი ზურაბ კუპატაძე გავიდა. გამარჯვებულები სამტრედიის მერიის მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრებით და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და მერის მოადგილე დავით ბახტაძემ მადლობა გადაუხადეს ტურნირის მონაწილეებს და ორგანიზატორებს და წარმატებები უსურვეს.

ტურნირის შემდეგ თავისი ემოცია გამარჯვებულმა თორნიკე ჯანგველაძემ გაგვიზიარა, რომელიც, ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამტრედიელია. მას ქალაქის პირველი საჯარო სკოლა აქვს დამთავრებული. ჩვენი საუბარი სამტრედიასთან მისი სიახლოვით დავიწყეთ: "სამტრედიას ძალიან იშვიათად ვსტუმრობ, სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, კვირის ყველა დღე დაკავებული მაქვს, შესაბამისად, ძალიან იშვიათად ვახერხებ ჩამოსვლას. ტურნირი იყო ფანტასტიური, ყველაფერი იყო უმაღლეს დონეზე: ორგანიზება, დარბაზი, ხმა, კითხვები იყო მაღალი ხარისხის. შესაბამისად, ამ ორი დღის განმავლობაში ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე, რის გამოც ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ტურნირის ორგანიზებაში მცირედი წვლილი მაინც შეიტანა. რაც შეეხება მეტოქეებს, კი, ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავდა, მათ შორის საქართველოს ჩემპიონი გუნდი "კოზა ნოსტრა." გუნდები, სადაც თბილისის და საქართველოს რამდენიმეგზის ჩემპიონები თამაშობდნენ და შესაბამისად, ორმაგად სასიხარულოა, რომ გამარჯვება მოვახერხეთ".

სამტრედიის ინტელექტკლუბის პრეზიდენტი გიორგი ჩაჩუა: " ჩვენი მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად მასპინძლობს ინტელექტუალური თამაშების მემორიალს, შემიძლია თამამად ვთქვა, წლევანდელი ტურნირი, მართლაც, გამორჩეული იყო სტუმრების სიმრავლიდან გამომდინარე, ისეთი ინტელექტუალები გვესტუმრნენ, რომ მხოლოდ მათი მონაწილეობაც კი ძალიან საამაყო და საპასუხისმგებლო იყო ჩვენთვის. საქართველოს ნაკრების წევრები, სატელევიზიო "რა? სად? როდის?" წარმომადგენლები და ძალიან მაღალი დონის ინტელექტუალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მთავარი პრიზის მოპოვებაში. შემიძლია ვთქვა, გაიმარჯვა ღირსეულმა და ჩვენი მემორიალის გარდამავალი თასიც გუნდთან "26-ე საათი" დაიდებს ბინას ერთი წლის განმავლობაში. ყველა სტუმარი ერთხმად აღნიშნავდ, რომ მემორიალი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა, რისთვისაც კლუბის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას და პირადად მერს, ბატონ ვალერი ფოცხვერიას, ასევე უდიდესი მადლობა ქალბატონ მედეა ხუჭუას, რომელმაც საშუალება მოგვცა, მემორიალი შესანიშნავ სადღესასწაულო სახლ "კოლხში" ჩაგვეტარებინა. მადლობა ასევე ყველა იმ ადამიანს, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ტურნირის ორგანიზებაში. უკვე მომავალ ტურნირზე ვფიქრობთ და ვადგენთ გეგმებს, რომ იგი კიდევ უფრო მასშტაბური და საინტერესო იყოს"

“აწარმოე საქართველოში” კერძო საბავშვო ბაღისთვის

თეა ბაბუნაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ კონცეფცია კერძო საბავშვო ბაღების მართვისა და ფუნქციონირების, მათში სასწავლო პროცესისა და მეთოდოლოგიური აღზრდის ირგვლივ, ჯერჯერობით, ოფიციალურად შემუშავებული არ არის, კერძო საბავშვო ბაღების რიცხვი ქვეყანაში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. საჯარო თუ სხვა ტიპის სამსახურებში დასაქმებულთა სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, მშობლები აცხადებენ, რომ კერძო საბავშვო ბაღების სამუშაო დროის ხანგრძლივობა ხელსაყრელია მათთვის. მოთხოვნილება ამ ტიპის სააღმზრდელო დაწესებულებებისადმი მშობლის ეკონომიური მდგომარეობითაც განისაზღვრება. არაერთხელ არაერთისგან ხაზგასმით გაცხადებული გაგვიგია, რომ არა ინფრასტრუქტურული და სხვა ფაქტორები, განსაკუთრებულ კომფორტს რომ განაპირობებს, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით აქცენტს სახელმწიფო სკოლამდელ დაწესებულებებზე გავაკეთებდითო.

მიუხედავად ამ ფაქტორებისა, კერძო საბავშვო დაწესებულებები ქვეყნის მასშტაბით მრავლდება და ბუნებრივია, ყოველდღიურად ვითარდება, იხვეწება. მხოლოდ სამტრედიის მაგალითზე რომ ავიღოთ, მუნიციპალიტეტში რამდენიმე კერძო საბავშვო ბაღია, ერთმანეთს კონკურენციას მუშაობის სტილის სულ უფრო დახვეწით რომ უწევენ. გადასახადის ოდენობის გათვალისწინებითაც, არც ბავშვთა კონტინგენტს უჩივის არც ერთი მათგანი. რაც შეეხება სწავლების მიმართულებას, ძირითადად, იმ პროგრამებით მუშაობენ, რომლითაც სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებები.

ამჯერად, კერძო საბავშვო ბაღ “ლილეოსა” და მის დამაარსებელზე, თეონა ჩანქსელიანზე გვაქვს საუბარი. ეს კერძო საბავშვო ბაღი სწავლების საკუთარი სტილით, აღსაზრდელებისთვის სხვადასხვა დისციპლინების სახალისო შესწავლით, ქორეოგრაფიისა და მუსიკალური ელემენტების, უცხო ენის სწავლების სასწავლო პროგრამებში ჩართვით, გარდა ამისა, ჯეროვანი კვებისა და სხვა საკითხების გათვალისწინებით, მშობლების დაინტერესებას განსაკუთრებული ინტენსივობით იწვევს. თეონა ჩანქსელიანი, რომელსაც შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს და იმავდროულად პედაგოგი გახლავთ ბაღში, შეეცადა, ბიზნესის კუთხითაც გაეფართოვებია დაწყებული საქმიანობა. ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში “აწარმოე საქართველოში”, სცადა ბედი. მისი პროექტი წარმატებული გამოდგა. გამარჯვებულს, იდეის ავტორის 20%-იანი თანამონაწილეობით, 20 ათასი ლარის ფარგლებში სახელმწიფო დააფინანსებს. თეონა ჩანქსელიანის ბიზნეს-გეგმა, რომელიც მეუღლესთან, გორა გაგუასთან ერთად დაწერა, იმდენად საყურადღებო აღმოჩნდა, გაიმარჯვა კიდეც. პროექტი 18 ათას ლარზე იყო გაწერილი და სასკოლო ჯგუფის დამატებასთან ერთად, რომელსაც შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა ექნება, კვამლის აპარატი და საბავშვო ბაღთან არსებული დაბადების დღის ცენტრის დამატებას გულისხმობს.

თეონას მიერ წარდგენილმა პროექტმა ყველა კრიტერიუმი წარმატებით დააკმაყოფილა: “როგორც ჩანს, აქცენტი უკვე არსებულ ბიზნესზე აიღეს და პრიორიტეტი მიანიჭეს. თანამონაწილეობით განსაზღვრული თანხა, რომელიც მე უნდა გამეღო, უკვე დავხარჯე სასკოლო ჯგუფის მოსაწყობად. პროექტით გათვალისწინებული დანარჩენიც, სავარაუდოდ, მალე დაირიცხება. პირველი შედეგები სასკოლო ჯგუფისა უკვე სახეზეა, ჩავატარეთ ღია გაკვეთილი მათემატიკაში. ჯგუფი დაწყებითი განათლების პედაგოგს ჩავაბარეთ. ჩვენი საქმიანობა ადვილად დასანახი და შესაფასებელია. როგორ გამოვიყენებთ პროექტით გათვალისწინებულ თანხას, მალევე დაეტყობა საბავშვო ბაღს, შედეგზე ჩვენი აღსაზრდელების ერთხელ ნახვაც მეტყველებს.” _ ამბობს თეონა ჩანქსელიანი.

ამგვარი ხელმძღვანელის ხელში, ვფიქრობთ, წარმატებები არ მოაკლდება “ლილეოს” და ეს კერძო საბავშვო ბაღების განვითარებაში ნათქვამი სიტყვაც იქნება. განსაკუთრებით საგულისხმო ისიც არის, რომ თეონა ჩანქსელიანი ახალგაზრდა პედაგოგია, არც თუ ისე დიდი ხნის გამოცდილებით. მისი ასეთი შედეგი სერიოზული განაცხადია, რაც დაწყებითი განათლების წარმატებით მიღების საპასუხისმგებლო საქმეში იმედისმომცემი და საჭირო პირობაა.

“ჩვენი უბანი”_ მეოთხეგაზეთა აქტივობა

ნათია ნაცვლიშვილი

მეოთხე ბაგა-ბაღის სადღესასწაულო დარბაზში 5-6 წლიანთა ჯგუფის აქტივობას ვესწრებით, “ჩვენი უბანი” _ ასეთია აქტივობის თემა. პედაგოგ ნინო რუხაძეს საწაული მოუხდენია, ლამის, მთელი სამტრედიის მიკრო- მოდელი წარმოუდგენია სცენაზე: წმინდა დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძარი, რკინიგზის სადგური, პოლიციის შენობა, სასწრაფო დაწესებულება, სახანძრო გუნდი, საფაჭრო ობიექტები, სილამაზის სალონები და კაფეები. ყველაფერი გათეული ლამეების, ფანტაზიის, ბავშვების სიყვარულის და დიდი შრომის შედეგია! არავითარი ძვირადღირებული რესურსი, თვალსაჩინოებები, ძირითადად, ქაღალდისაგან არის შექმნილი.

ეს ბაგა-ბაღი მუნიციპალიტეტში პირველია, სადაც ახალი საპილოტე პროგრამა განხორციელდა. პედაგოგმა და მისმა თანაშემწეებმა ნანა ჯანგველაძემ და მარინა ფოცხვერიამ ორი კვირის განმავლობაში იმუშავეს ბავშვებთან აქტივობის თემაზე. შემდეგ კი შემაჯამებელი გაკვეთილი სტუმრების წინაშე წარმოადგინეს. აქტივობა მშობელთა ჩართულობასაც ისახავს მიზნად და ბუნებრივია, თამაშ-თამაშ ცოდნის შეძენის პროცესში ყველა მშობელი სიამოვნებით ჩაერთო. პატარებმა ნოემბრის თვის ამინდის კალენდარი შექმნეს, როგორც დათვალეს, წვიმიანს დარიანი დღეები სჭარბობდა. მერე, სცენაზე წარმოდგენილი მინი-ქალაქი შემოიარეს და ყველა შენობის შესახებ პედაგოგის კითხვებს სწორად უპასუხეს. ტრანსპორტის სახეობებზე ისაუბრეს, პედაგოგმა მათ ყველა ვარიანტი წარმოუდგინა, გარდა გემისა და შეახსენა, გემი ხომ ზღვაში დაცურავს. ზღვა კი ჩვენს ქალაქში არ არის. სილამაზის სალონი, კაფე-ბარი და საავადმყოფო _ ამ სამი ობიექტის შესახებ ბავშვებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს, ამ პროცესში მშობლები სცენაზე მოიხმეს, ზოგს თმა შეაკრიჭეს, ზოგმა ვარცხნილობა გააკეთა, ზოგმა ნამცხვარი დაკრემა, ვინ სიცხიანი კურდღელი ფონენდოსკოპით გასინჯა, პარალელურად, თემასთან შესაბამისი სიმღერებიც იმღერეს, იქნებოდა ეს მეეზოვის სიმღერა, “ეს საწყალი კურდღელი” თუ

სხვა. განსაკუთრებული მხიარულება მეეზოვის ფორმაში ჩაცმულმა პედაგოგმა და მისმა აღსაზრდელებმა შემოიტანეს, ბავშვების ჟრიამულს სპონტანურად შეუერთდა ბაგა-ბაღის ლეგენდარული გამგე, ენერგიული ნანა დუნდუა. ის დარბაზიდან გავიდა, ცოცხს ხელი დაავლო და პატარების სიმღერას ხმა შეუერთა. მერე ბავშვებმა და პედაგოგებმა სიმღერა “ტალახი, აგური გააჟღერეს და... სახლიც სიმღერ-სიმღერით ააშენეს.

აქტივობა ასე შეაფასა სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსმა ხათუნა გაგუამ: “ჩემო ლამაზებო და კარგებო, უღრმესი მადლობა, არაჩვეულებრივად წარმოადგინეთ ყველაფერი, პროგრამით რაც იყო გათვალისწინებული ამ აქტივობაში, უფრო მეტად თუ იაქტიურებთ, მშობლებო, უკეთესი იქნება, მადლობა პედაგოგებს, მეთოდისტებს, რომელთაც ახლახან გაიარეს ტრენინგის კურსი, დღევანდელმა დღემ ცხადყო, როგორი კარგი ბავშვები მიდიან სკოლებში, არაერთი სამადლობელი წერილი მომდის, ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ.”

გაერთიანების უფროსის მოადგილე მარინა შენგელია: “ ეს იყო შესანიშნავი ღია კარის დღე, ძალიან კარგად წარმოადგინეთ სხვადასხვა პროფესიები, ასევე შესანიშნავი იყო მუსიკალური ჩანართები”.

მეთოდისტი მარინა ქოჩოვი: “არა მაქვს უფლება, ძვირფასო ბავშვებო, პედაგოგებო და მშობლებო, მადლობა არ გითხრათ დღევანდელი დღისათვის, ჩვენ მშობლებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს, დღევანდელმა დღემ ცხადყო, რომ ბაგა-ბაღში მარტო ცეკვა-სიმღერა არ არის, ჩაიხედეთ სასწავლო-სააღმზრდელო გეგმაში, გვერდით დაუდექით მასწავლებლებს, ხომ ხედავთ, ნინო მასწავლებელმა საოცრება მოახდინა, თამაშ-თამაშით და საუკეთესო თვალსაჩინოების დახმარებით რამდენი რამ ისწავლეთ. მშობლებო, შეგიძლიათ მოიკითხოთ ბაგა-ბაღში თქვენი შვილების ყოველი დღის აქტივობა, 15 საშემოდგომო ღონისძიება ჩატარდა ჩვენთან”.

ნანა დუნდუა: “ასეთი აქტივობა თხუთმეტივე ჯგუფში ჩატარდა, პედაგოგებო, თქვენ ქვეყნის სამჭედლო ხართ, რადგან საქართველოს ღირსეულ მომავალს უზრდით, მადლობა ნინო მასწავლებელო, მადლობა მეთოდისტებო და ჩემო პატარებო!”

აქტივობას დაესწრო ღანირის ბაგა-ბაღის მმართველი ლელა ქავზინაძე და უამრავი სამადლობელი სიტყვა თქვა აქტივობის შეფასებისას. აქტივობას დაესწრნენ დიდი ჯიხაიშის ბაგა-ბაღის პედაგოგები, რომელთაც ასევე მოიწონეს აქტივობა.”

იხსენი სამკვიდრო შენი _ გეორგია!

მეთორმეტე საჯარო სკოლის პირველი კლასის სასკოლო ღონისძიებაზე მიგვიწვია მრავალწლოვანი პედაგოგიური სტაჟის მქონე მასწავლებელმა მედეა გეგეშიძემ. თემად გიორგობის წმინდა დღესასწაული აირჩიეს პატარებმა და პედაგოგმა. წმინდა გიორგი ხომ გეორგიანელთა მფარველი და შემწეა. პატარებმა ვახუშტი ბატონიშვილი მოიხმეს და განმარტეს, არ არის საქართველოში ბორცვი და გორა, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი რომ არ იდგესო. მაყურებელი მონუსხული უსმენდა პატარა გოგო-ბიჭებს, რომლებიც საოცარი გაჯრებით, განცდითა და ემოციით გადმოსცემდნენ სათქმელს. მიუხედავად იმისა, პირველკლასელები არიან, ბევრი რამ იციან საქართველოს ისტორიიდან, შესანიშნავად კითხულობენ ქართველ კლასიკოსთა: შოთა ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის და მურმან ლებანიძის პოეტურ შედევრებს. "წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო, ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი, შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია, იხსენი სამკვიდრო შენი _ გეორგია" _ ზვიად გამსახურდიას ამ შესანიშნავი ლექსით დაასრულეს საინტერესო ღონისძიება ჩვენმა პატარებმა. განსაკუთრებულად პუბლიკას მათ მიერ წარმოდგენილი ბიბლიური იგავი მოეწონა, რომელიც იესო ქრისტეს, წმინდა გიორგისა და ელია წინასწარმეტყველს შეეხებოდა. შესანიშნავად რომ მღერიან და ცეკვავენ ეს პატარები, ესეც არავის უკვირს, პედაგოგი ლელა გოლიაძე სხვადასხვა საკრავების თანხლებით ასწავლის ქართულ სიმღერებს თავის მოსწავლეებს. პატრიოტული სიმღერებით განწყობა მართლაც აგვიმაღლეს პატარებმა. ამ სკოლაში არაერთ ღონისძიებაზე დიდებიც ამშვენებენ უმცროსკლასელთა ნაღვაწს. ასე იყო ამჯამად: მეხუთეკლასელებმა შესანიშნავი მთიულურით დაამშვენეს საღამო. ეს მეხუთე კლასიც მედეა მასწავლებლის ყოფილი კლასია.

ღონისძიება სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ონიანმა შეაფასა: "მადლობა, ჩვენო პატარებო, ამ ლამაზი და საინტერესო ღონისძიებისათვის, გველეშაპი გაიგივებულია მტერთან, ჩვენი სამშობლო, როგორც თავადვე ბრძანეთ, ისტორიულად მუდამ მტერს ეომებოდა, ჩვენ მუდამ თავს ვიცავდით და ასე, ბრძოლით და შრომით ქვეყანა დღემდე მოვიტანეთ, წმინდა გიორგიმ დაგიფაროთ, თქვენც უნდა დაიცვათ მტრისგან, ანუ გველეშაპისგან თქვენი საყვარელი სამშობლო, საქართველო. ამისათვის ბევრი უნდა ისწავლოთ და იშრომოთ, გფარავდეთ წმინდა გიორგის მადლი, დიდი მადლობა, მედეა მასწავლებელო ამ საინტერესო ღონისძიებისათვის".

ნათია ნაცვლიშვილი

ახალი ლექსები გვაახლა ჩვენი ვაზეთის დიდი ხნის ერთგულმა მეგობარმა, პოეტმა და პედაგოგმა, პატონმა ილია ლეკვეიშვილმა. ამჯერად, პატრიოტული ხასიათისაა, სისხლს რომ აგიჩუხჩუხებს, ქართველობით რომ "გაგამედიდურებს", თვალწინ რომ გადაგიშლის ჩვენი ქვეყნისა და ერის გმირულ ისტორიას, მამულის დასაცავად, გასაერთიანებლად, სიცოცხლის სამსხვერპლოზე მისატანად რომ წაგაქეზებს.

დანარჩენს ლექსები გეტყვიან თავად.

მადლობას ვუხდით სამშობლოს სვეტზე მოფიქრალ, მის მაჯისცემაზე მიყურადებულ პოეტს, ღირსეულ ქართველ კაცს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ სამომავლოდ!

ლევან გაბეჩავა

აეზაზ ძმებს!

ენგურის ტალღებს მივარღვევ,
სულ ზევით, მაღლა და მაღლა,
შენ ჩემო თვალის სინათლევ,
გეძებ, გეძახი სადა ხარ!
ჩვენ ხომ ოდითგან ძმები ვართ,
და ძმებად შეფიცულები,
თუმც არაერთხელ ამ გზებზე
გადაგვბრუნდა ურემი.
გზა მაინც არ ჩანს რატომღაც,
არადა, უკვე დრო არი,
თუ ისევ დავაგვიანებთ,
მაშინ იხარებს მსტოვარი.
ჩვენ ხომ ერთი გვაქვს სამშობლო,
ერთი გვაქვს დასაფიცარიც,
უხსოვარ დღიდან ამ მიწას
მიტომაც ერთად ვიცავდით.
დღეს თუმცა დავშორიშორდით,
სულ გავვუცხოვდით, არა და,
ხომ გვახსოვს, როგორ ვიცავდით
კრწანისის ცას თუ მარაბდას.
ჩვენ დღესაც ერთი მტერი გვყავს,
ენგურ გაღმა თუ გამოღმა,
რომელმაც დაგვაცალკევა,
შური ახარა და ბოღმა.
დღეს მთავარია დავძლიოთ
ის ავბედობა და შური,
აი, ყველაზე მთავარი,
აი, ყველაზე საშური.
დრო არის გავერთიანდეთ,
ძმობა ვაქციოთ ფარადა,
რომ კვლავაც ერთად ვიმღეროთ
რაშოვდილა და ვარადა.

ჯერ ნუ გამწირავ

"ენა, მამული, სარწმუნოება"
დღეს ჩემს არსებას ისე მოება,
ვერც ერთს ვერ დავთმობ,
ვერც ერთს უარვყოფ,
ვით დედის მანდილს და სათნოებას.
როგორც მამის მკაცრ გამოხედვაში,
და სულისშემძვრელ წესსა და რიგში,
გაფიქრებამდე შემძრავს ყოველთვის
არ გადაცდომის მტანჯველი შიში.
თუმც გადავფურცლე წლები სადავო,
მაინც მეწვევა დროდადრო მუზა,
ვით ზამთრის ღამის გრძელ დერეფანში,
გასავლელი გზა მითრევს და მნუსხავს.
რაც შინაგანად ყოველთვის მძრავდა,
დღესაც ის შიში აღარ მასვენებს,
დამშრალ კალაპოტს მივყვები აღმა,
წყალი არ ჩანს და მაინც მასველებს.
ენა, მამული, სარწმუნოება,
ამ ერთარსების მცველად კვლავ ვრჩები,
ჯერ ნუ გამწირავ, მზეო, ამას გთხოვ,
არ დამიწერო ჯერ განაჩენი.

წინაპართა ხმა

რა მშვენიერი დარია,
გინდ წვიმდეს, ხომ არ დამადნობს,
ღრისით მზე, ღამით კი მთვარე
შენს უკვდავებას დარაჯობს.
მეც წინაპართა სადარი,
მინდა, რომ ხმალი ავლესო,
შენს დასაცავად მზადა ვარ,
სამშობლოვ, უსაყვარლესო.
წინ სრბოლა ჩემი წესია,
გზას მიკვლევს ტატოს მერანი,
ჩემს დაჩოქება-დაწიხვლას
ვერ მოესწრება ვერავინ.
ხელთ საკაძის ხმალი მაქვს,
ცეცხლს აფრქვევს ჩემი თვალები,
მე ერთადერთი ვალი მაქვს,
სამშობლოვ, გენაცვალები.
ამ ვალის გადასახდელად
გულიც მერჩის და მარჯვენაც,
ეს წინაპართა ხმა არი: _
"სიკვდილი ან გამარჯვება."

რანი ვართ უსაქართველოდ?

ვინც მოახერხა რუსთველის
ერთი სტრიქონის ტოლი თქვას,
მიეცით იმას ფურცელი
და ნება, სული მოითქვას.
ვინც თამარ მეფის ნათელი
უკვდავყო ბეთანიაში,
ვინც ცა შეღება იისფრად,
ქარი შეიცნო ნიავში.
ვინც ნიჟარაში ჩატია,
ბობოქარი ზღვის ხმაური,
მავანმა მკლავიც მოაჭრას,
გარჯა უქმად არ ჩაუვლის.
ვინაც პირველმა მოხაზა,
"ანი", _ "ჰოეთი" ნაფერი,
ვინაც აღვირი მოსწია
მერანს ზეცაში გაფრენილს.
ვინაც ყინწვისის ანგელოზს,
ყალამი კრძალვით შეახო,
მე როდი ძალმიძს ცოდვილსა,
ისევ შენ უნდა შეაქო.
მთაწმინდის მთვარე დაგვნათის,
მზე თიბათვისა გვმფარველობს,
ხელი ხმალს იკარ, ქართველო,
რანი ვართ უსაქართველოდ.

ეს ჩემი გენი ხმაურობს

გზას ბილიკ-ბილიკ მივყვები,
მაღალ მთებს ავცქერ გოლიათს,
ზღვაში ვცურავ თუ ცაში ვფრენ,
თავი სიზმარში მგონია.
იქნება სამოთხეში ვარ
უკვე და ვერ გამიგია,
ალვის ხის მაღალ წვეროებს
მთვარის ჰამაკი ჰკიდია.
ოდითგან ისმის იგავად,
"ლეკვი ლომისა სწორია",
შიგა წევს ის ყრმა, რომელსაც
ირმისა რძე უწოვია.
ურწიე, მზეო, აკვანი,
ქარო უმღერე ნანაო,
დევისმკლავება ვაჟკაცი
ჩვენს მხსნელად ზარდე თანაო.
გადაგვირჩინე მამული,
ღვთისწილხვდომილი, მამაო,
თორემ ხომ ხედავ, დამოკლეს
მახვილი როგორ ქანაობს.
შენ შეეწიე უფალო,
და კალთა გადააფარე,
უკვდავებისა წყაროსა
ისევ უჩინე სათავე.
კვლავ მამქუხარე ისე, რომ
გენს ჩემსას არ მიეძინოს,
აქა ვარ, შენი მხსნელი მე,
სხვაგან სად უნდა მეძიო?!
ეს ჩემი გენი ხმაურობს
არ ამცდენია მიზანი,
"კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი".

აყვავდი ჩემო ქვეყანავ!

შენს სახელს ვფიცავ, შენს მიწას,
გიცავ და კვლავაც დაგიცავ,
ჩალის ფასი აქვს სიცოცხლეს,
თუკი შენთვის არ დაიწვა.
დიდგორისა და კრწანისის
წინაპართა სულს ვფიცავარ,
მე ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი
ღვთითკურთხეული მიწა ვარ.
შენს ჩალისფერ და ხუთჯვრიან
დროშას ცად მივაფრიალებ,
მზე რომ სისხლისფრად ენთება,
ცაც ოცნებისფრად კრიალებს.
სულ მალე, მჯერა ახდება
ჩემი ფიქრი და ოცნება,
ივერიის ხატს მირონი
ისევ სდის ვით საცრება.
აყვავდი ჩემო ქვეყანავ,
მზის და ვარდების სადარო,
ქრისტეს კვართივით ნაწამო
და ფენიქსივით აღმდგარო!

გზად წიაღუბნისკენ

დოქს რომ დათრთვილავს, კიბულას
ყინულიანი წყალია,
ყველა უკვდავი გამხდარა
ვინც ერთხელ მაინც დალია.
მეც მისვამს, თქვენაც დალიეთ,
აგეხილებათ თვალია,
მგზავრი ხარ, სტუმრად მიდიხარ,
ბავშვი, კაცი თუ ქალია.
პეშვი აივსეთ, იგი ხომ
უკვდავებისა წყალია,
ჩამოვსხდეთ, ჩამოვისვენოთ,
გვერდს თუ ავუქცევთ ბრალია.
ბუკნარი ასავლელი გვაქვს,
არ გვეცეს ავი თვალია,
ჩიტებმაც ფრენა-ფრენითა
კიბულას წყარო დალია.
ჩამობელილი თხმელები,
ადესა ღვინით მთვრალია,
ღრუბლებმაც ცა რომ დაფაროს,
ან გზად შემოგხვდეთ ალია.
ზურგზედაც შემოგასკუპდეთ,
არც გაივირვოთ ძალიან,
საგზალი გაუნაწილეთ,
ცოტაც კიბულას წყალია.
წიაღუბანიც აქვეა,
გზა თუმცა ცოტა მწყრალია,
გულზე კიბულა ისხურეთ
ის უკვდავების წყალია.



ჩვენო ვაშიკო!

მთელი ცხოვრება მიეზიდებოდი შენს მძიმე ჯვარს. "ჭირთა დამთმენმა, უსიტყვომ და უსაყვედურომ" ღირსეულად განვლე წუთისოფელი. უსასონი გავხდით. დადგა ჟამი მარადისობისა. ტკივილით დატვირთე ოჯახი, ახლობლები, მეგობრები, პაციენტები ცრემლმორეული გიგონებენ.
"ჩვენი სანთლები შენთვის იწვიან, სამადლობელი არ დაგვიწყნია."
ვამაყობთ შენით. შევთხოვთ უფალს, დაგიმკვიდროს ნათელი სასუფეველში!

შენი ლეჯანი

უხილავი მამა

დავბადებულვარ თებერვლის სუსხიან ამინდში. ნანატრი ბიჭის მოვლენამ ოჯახი უსაზღვრო სიხარულით მოიცვა. ორი ულამაზესი ქალიშვილის შემდეგ გავჩნდი მე. "ნეტავ, არ გავჩენოდი საბრალო დედას". ადამიანებს სიხარულის თანაზიარება თურმე უჭირთ. მამა ღვინით სავსე დოქით გამვლელებს ბიჭის გაჩენის სადღეგრძელოს მორიდებით ეაჯებოდა. დაუნდობელი 1937 მძვინვარებდა, გაბოროტებული ადამიანების ჯგუფი ჭიანჭველებივით მრავლდებოდა. ანონიმური დასმენით დამიხვრიტეს ჩემი უძვირფასესი, უსაყვარლესი ადამიანი.

მაგონდება სამხედრო კომისარიატში წვევამდელთა საექიმო კომისია. ჩემი ანკეტური მონაცემების გაცნობის შემდეგ კომისარი დაიბნა. მიეხვდი, ეს ის იყო, რომლის გვარს დედა ჩურჩულით ახსენებდა (რეპრესიების წლებში ჩვენ ჩურჩულით, თვალებით ვსაუბრობდით). უკვე შეშინებულმა ჩემი გვარი რამდენჯერმე წაიბუტბუტა. ენით გამოუთქმელი ტანჯვა დამეუფლა, ძალიან შევიცვალე, გავნერვიულდი. ჩემი ფერისცვალება დედას არ გამოჰპარვია. ქვითინით მემუდარებოდა, ხელი ამეღო შურისძიებაზე. დედის მიმართ განუზომელმა სიყვარულმა გადაწყვიტა ყველაფერი, ჩემ ჩანაფიქრს აღსრულება არ ეწერა...

ახლა უკვე საკმაოდ ხანდაზმული ვიმედოვნებ, ზეციურ საუფლოში სამარადისოდ ჩავეკვრები ახალგაზრდა 37 წლის მამას.

ვაჟა ტერელაძე
2016 წელი

ახალი ლექსები

აღარ ვარსებობ, აღარ ვარსებობ დიდი ხანია,
რამდენი ღამე დამტვერილი წიგნივით ვფურცლე,
ისე არასდროს არაფერი არ მიხარია,
თითქოს დავეცი და წამოდგომას თავიდან ვიწყებ.
კვლავინდებურად გზაფხულზე ავყვავილდები,
ავყვავილდები, რომ ამ ერთხელ მეც გავიხარო,
და თუნდაც მერე კიდევ ბევრჯერ გარდავიცვალო,
დავეფინები ამ სამყაროს ცვრიან ლელიანს.
მივესალმები ყოველ დილით ამომავალ მზეს,
ცვრიან ყლორტებზე მარგალიტი მიმომეფანტოს,
და ჩემი სული იკაშკაშებს ისე ლამაზად,
თითქოს მაღლიდან ვარსკვლავები გადმოელაგოთ.

***

ღამდება, ნაცნობი ქუჩების სიჩუმით,
წვდიადი ფეხდაფეხ ლანდივით მომყვება,
მივყვები სოფლისკენ მიმავალ ბილიკებს,
დაყვება ქუჩები ჭადრების ხეივანს.
ნაძვებში ნაცნობი სურნელი ტრიალებს,
მტრედების ღუღუნი მომესმა შორიდან,
გავყურებ ნაცნობი ფერებით მოხატულ
სახლისკენ მიმავალ მდუმარე ხეივანს.

თამაზ ცერცვაძე

საქართველოვ!

საქართველო წმინდა ნების სავანე,
მარიამის უწმინდესი ადგილი,
წმინდა ნინოს ვაზის ჯვრით მონათლული,
თამარ მეფის შემოსილი მანდილით.
საქართველოვ, დალოცვილო უფლისგან,
დავითის ხმლით მტკიცედ შემორაგული,
ქართველების საოცნებო ქვეყანა,
რუსთაველის ყალმით შემოქარგული.
საქართველო, შენ გმირების მშობელო,
ყველასათვის სანეტარო ქვეყანავ,
პოეტების ულეველო აკვანო,
დაილოცე, ჩემო ტკბილო ქვეყანა.
წმინდა ლოცვით კანონი დადგინდება,
უფლის ნებით ივერია გაბრწყინდება,
ყველას გული აგვევსება ხალისით,
საქართველო მალე აღორძინდება.
საქართველო, მალე გამთლიანდება,
ქართველები ტკბილად ახმიანდება,
სამართალი გაიმარჯვებს სულ მალე,
ძმობის დროშა ყველგან აფრიალდება.
საქართველო, მტრები ჩამოგშორდება,
მეგობრობას სინათლე დაუდგება,
შუღლი, შური არავის მოუნდება,
უფლის მადლი ყველას წინ დაუდგება.
დიდ ილიას და აკაკის სამშობლოვ,
გაჭირვება ბევრი გამოგიცდია
ქართველებო, შეასრულეთ ოცნება,
სამშობლოსთვის რაც კი შეგიფიციათ.
საქართველო ჩემო ტკბილო ქვეყანა,
ჩემი გული შენთვის მომილოცნია,
გაიხარე წარსულით და მომავლით,
შენ შეგერგოს რაც შენთვის მილოცნია!

კაბლე კაკაბაძე

გურამ გაბუნიას გახსენება

ერთი წელი გავიდა მძიმე და ტკივილიანი. შენ ქართველი კაცის საუკეთესო თვისებებითა და ტრადიციებით განვლე 78 წელი ამ ქვეყნად. ჩვენთან კი დარჩა შენი ხსოვნა, უდიდესი პატივისცემა და სიყვარული, რომელიც არასოდეს მოკვდება.

მუდამ გაგიხსენებთ ლამაზად ჩაცმულს, მომღიმარს, ყველასთვის ძვირფასს. ნათელი გქონდეს შენს მარადიულ სასუფეველში!

ლამარა დუნდუა

რესპუბლიკის ქუჩაზე მცხოვრები უახლოესი მეზობლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული ქალბატონის, მეუღლის, დედისა და ბებიის

ქეთინო რამიშვილი-მაღრაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბეჟან გოგია თანაუგრძნობს ნუკრი ლეკაშვილს მამის, ბატონი

რობინზონის

გარდაცვალების გამო.

"არაბული ციფრების" წარმოშობის ისტორია

1202 წელს შუა საუკუნეების ერთ-ერთმა პირველმა დიდმა იტალიელმა მათემატიკოსმა _ ლეონარდო პიზელმა (1170-1250 წლები), იგივე _ "ფიბონაჩიმ" გამოაქვეყნა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი (წიგნი) სახელწოდებით _ "Liber abaci", რომლიდანაც ევროპელებს დეტალურად გააცნო არაბული საანგარიშო სისტემა და პირველად მიაწოდა ციფრი _ "ნულის" არსებობის შესახებ ინფორმაცია. წიგნის ავტორმა შესანიშნავად უწყოდა, რომ თავად არაბები სანსკრიტული ციფრებით სარგებლობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ციფრებს რატომღაც მაინც _ "არაბული ციფრები" უწოდა (ასევე მოიხსენიებენ დღემდე). ოფიციალურად დადასტურებული ფაქტია, რომ არაბებმა ციფრების არსებობის შესახებ ინფორმაცია სანსკრიტულ ენაზე დაწერილი უძველესი ინდური რელიგიური ჰიმნებიდან _ "რიგ-ვეებიდან" მიიღეს. შესაბამისად, "არაბული ციფრები", სინამდვილეში "სანსკრიტული ციფრები" გახლავთ.



Genia.ge

მაშველთა დახმარებით პატარა ლეკვები გადარჩნენ

დილის 10 საათი იქნებოდა, როდესაც № 2 საჯარო სკოლის შერწყმული სკოლის უკან ჩოჩქოლი შეიქნა. მესამე კლასელი მოსწავლეები სასოწარკვეთილი ყვირილით მორბოდნენ: "მასწავლებელო, აგერ, სკოლასთან ახლოს, ორმოში ვიღაც უსულგულოს პაწაწუნა ლეკვები ჩაუყრია და იხრჩვებიანო... ამ სიტყვებზე ცხოველთა დიდმა ქომაგმა ცირა მასწავლებელმა მაშინვე 112-ში დარეკა. პოლიცია და მაშველებიც უმალ გამოჩნდა. საკმაო დრო დასჭირდა პატარების ამოყვანას, მაგრამ ის ამ ძალისხმევად ღირდა. გადარჩენილ, მშიერ ლეკვებს გულიკო მასწავლებელი გაუმასპინძლდა ფრანგული პუდინგებით.

მადლობა ბავშვებს, რომლებმაც აღმოაჩინეს, მადლობა მაშველებსა და პოლიციას რომლებმაც გადაარჩინეს პატარა ცხოველები. მინდა ჩამოვთვალო მათი გვარები და მადლიერება გამოვხატო ამით. სამტრედიის სახანძრო-სამაშველო განყოფილების უფროსი ვლადიმერ კოპალეიშვილი, ოცეულის მეთაური გოჩა თარგამაძე, სამაშველო ეკიპაჟის წევრები: გიგა შენგელია და ზაზა ოჩხიკიძე. მაშველებთან ერთად ლეკვების გადარჩენაში, აგრეთვე, ამავე სკოლის მოსწავლეები, თედო დვალიშვილი და ამრიდ გაბელაიაც მონაწილეობდნენ.

გულიკო გოგიტიძე
ფრანგული ენის პედაგოგი, ფაზისისა და ქალღუას აკადემიების წევრი

აუბს არვის ვათქმევინებ,
ჩვენს ერსა და ნაციაზე,
ორივეს გეპატიჟებით
ი ნ ა უ გ უ რ ა ც ი ა ზ ე !

ამჯერად ქართული ჭიდაობა

ქართული მრავალხმიანობის, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი მეთოდის, ქართული ანბანის სამი სახეობის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (იუნესკო) ქართული ჭიდაობა მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა, რაც უდიდესი აღიარებაა არა მარტო ქართული სპორტისა და სხვადასხვა თაობის მოჭიდავეებისა, არამედ თითოეული ქართველისა.

ჭიდაობის პროფესორად წოდებული, ლეგენდარული ვახტანგ ბალავაძის სამტრედიელობა კიდევ უფრო გვმატებს კანონიერი თავმოწონების უფლებას, რომ ამ დიდ საქმეში წონადია სამტრედიელი მოჭიდავეების წვლილი.

ქართული გენის კიდევ ერთ აღიარებას გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

ვილოცავთ!

აპაკი რუხაძეს!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს, პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. იდღეგრძელეთ!

"სამტრედიის მაცნე"

გიორგი ლეჟავას!

ღირსეულ ქართველს, ჩვენი გაზეთის დიდი ხნის მკითხველსა და მეგობარს გილოცავთ დაბადების დღეს.

უფალმა გაგაძლიეროთ!

"სამტრედიის მაცნე"

სამტრედიაში რუსთაველის ქუჩის №23/2 გაიხსნა კომპანია "ფაბერლიკის" ოფისი. კომპანია გთავაზობთ, მსოფლიოში ცნობილი ფანგბალის კოსმეტიკას. ასევე, დასაქმებას.

ოფისი მუშაობს ყოველდღე 10 საათიდან 17.00 საათამდე.

ტელეფონი: 577 42 55 52.

სტუდია "ბერმუხა" გთავაზობთ!

პირველად სამტრედიაში,ქორწილების, საზეიმო დოწისძიებების გადაღებას FUL HD-1920X1080 ფორმატში,პირდაპირი ტრანსლაცია (ლაივი), FACEBOOK,YOUTUBE-ზე,დარბაზის მონიტორზე. ჩაწერა ფლეშკაზე და BLU-RAY დისკზე 50 წლიანი გარანტიით.

საკონტაქტო ტელ: 598 78 66 00; 555 18 84 80; 22 40 42.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა